



HEUNI

The European Institute for
Crime Prevention and Control,
affiliated with the United Nations

ტრეფიკინგის საქმეებზე ბავშვის დაკითხვის/ გამოკითხვის სახელმძღვანელო

Julia Korkman, HEUNI



Co-funded by
the European Union

ტრეფიკინგის საქმეებზე ბავშვის დაკითხვის/გამოკითხვის სახელმძღვანელო

გამომცემელი: ბალტიის ზღვის ქვეყნების საბჭო

ავტორები: იულია კორკმანი, დანაშაულის პრევენციისა და კონტროლის ევროპული ინსტიტუტი, აფილირებული გაერთიანებული ერების ანგარიშთან (HEUNI)

ექსპერტების მონაწილეობა:

ნორა ჰალმენლასკო, გამოძიების ეროვნული ბიურო, ფინეთი

ნატალია ოლუსი, დანაშაულის პრევენციისა და კონტროლის ევროპული ინსტიტუტი, აფილირებული გაერთიანებული ერების ანგარიშთან (HEUNI)

ოლივია ლინდ ჰალდორსონი, ბალტიის ზღვის ქვეყნების საბჭო

შაუნა ფონ ბლიქსენ-ფინეკე, ბალტიის ზღვის ქვეყნების საბჭო

ლინდა კორდისკო-სტელე, ბავშვთა ადვოკატების ეროვნული ცენტრი, აშშ

რედაქტორი: შაუნა ფონ ბლიქსენ-ფინეკე, ბალტიის ზღვის ქვეყნების საბჭო

978-91-985554-3-1



ეს ნაშრომი ლიცენზირებულია ბალტიის ზღვის ქვეყნების საბჭოს მიერ, შემოქმედებითი გაერთიანების «ავტორობის მითითებით - არაკომერციული» ლიცენზიით - საერთაშორისო ლიცენზია 4.0 .

გსურთ ამ დოკუმენტის თარგმნა? გთხოვთ დაუკავშირდით ბალტიის ზღვის ქვეყნების საბჭოს, ფორმატის, აკრედიტაციისა და საავტორო უფლებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად.

გამოქვეყნებული აპრილი სტოქჰოლმი, 2024წ.

შინაარსი

შესავალი	5
მეხსიერება და ბავშვის განვითარება	7
მეხსიერება მჭიდროდ არის დაკავშირებული ენის განვითარებასთან	7
ინფანტილური ამნეზია	7
მეხსიერების წყაროს მონიტორინგი	8
ბავშვის განვითარება და მითითებებზე დამოკიდებულება	9
პატარა ბავშვები დამოკიდებული არიან უფროსებზე, რომლებიც ეხმარებიან სამყაროს შეცნობაში	9
პატარა ბავშვების მინიმუმებზე დამოკიდებულება, რაც იწვევს არასწორი ჩვენებების მიცემას	10
მოზარდების დამოკიდებულება მითითებებზე, რაც იწვევს არასწორ აღიარებას	11
მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა, მითითებებზე დამოკიდებულების თავიდან ასაცილებლად	12
გამოიყენეთ შეკითხვები მინიმუმების გარეშე, რათა ხელი შეუწყოთ მეხსიერების გააქტიურებას	12
მიიღეთ აქსიმალურად სრული დახასიათება, რათა თავიდან აირიდოთ ყოველგვარი წინასწარი ზეგავლენა ბავშვის მეხსიერებაზე.	12
შეინარჩუნეთ ნეიტრალურობა	13
მოერიდეთ შეკითხვებს, რომლებიც პასუხია: დიახ/არა	13
მეხსიერების გაგება (არასწორად გაგება)	13
განმეორებადი მოვლენების დამახსოვრება	13
დაკითხვა/გამოკითხვა განმეორებად მოვლენებთან დაკავშირებით	14
პოტენციურად ტრავმული და სტრესული მოვლენების დამახსოვრება	14
დაკითხვა/გამოკითხვა ტრავმულ გამოცდილებებთან დაკავშირებით	15
კულტურა და მეხსიერება	15
რა გვახსოვს	15
წერა-კითხვის ცოდნა	16
დაკითხვები სხვადასხვა კულტურულ გარემოში	16
დროის აღქმა	17
დაკითხვისას მოვლენების ქრონოლოგიის შესწავლა	17
ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვის დაკითხვის/გამოკითხვის მნიშვნელოვანი ასპექტები	19
ბავშვების ტრეფიკინგის განმარტება	19
ტრეფიკინგი როგორც კონტინუუმი	20
მტკიცებულებებზე დაფუძნებული ტექნიკა და დაკითხვის/გამოკითხვის პროტოკოლი	20
NICHD-R-ის (ბავშვთა ჯანრთელობისა და ადამიანის განვითარების ეროვნული ინსტიტუტი) პრინციპები	21
იძულებითი დაკითხვის პრაქტიკის შეფასება	21

ტრეფიკინგის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული გამოწვევები	22
ექვმიტანილების მსხვერპლის მსგავსად დაკითხვამ შესაძლებელია გააუმჯობესოს იდენტიფიცირება	22
რატომ არ სურს ბევრ მსხვერპლს, რომ მოყვეს რა მოხდა	23
მაგალითი: ონლაინ სექსუალური ძალადობა	24
დაკითხვის მომზადება, ყოყმანის გათვალისწინებით	26
ალტერნატიული ჰიპოთეზები აბსოლუტური მტკიცებულებების არარსებობისას	26
ფსიქოლოგიური კონტროლი და იძულება ტრეფიკინგის კონტექსტში	26
იზოლაცია	27
მაგალითი: იძულებითი ქორწინება	27
პოზიტიური ინტერაქცია	28
ტრავმული მიჯაჭვულობა	28
იძულება	29
მაგალითი: ექსპლუატაცია კრიმინალურ მოქმედებებში	29
დაკითხვის ადაპტირება ფსიქოლოგიური და იძულებითი კონტროლის გათვალისწინებით.	30
უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ურთიერთგაგების ჩამოყალიბებისთვის დროის დათმობა	31
კეთილგანწყობის შესაქმნელად საჭირო კულტურულად სენსიტიური სტრატეგია	32
თარჯიმნებთან მუშაობა	33
თარჯიმნის როლი	33
კულტურულად სენსიტიური ენა	33
<i>ამონარიდი ინტერვიუდან</i>	34
დამკითხველებისა და თარჯიმნების ერთობლივი ტრენინგი	34
კეთილგანწყობა თარჯიმნების მიმართ	35
თარჯიმნებთან ერთად მუშაობა	35
დანართი: ბავშვის დაკითხვის ადაპტირება ბავშვის წინააღმდეგ მიმართული ტრეფიკინგისა და მასთან დაკავშირებული სხვა დანაშაულების გამოძიებისას	37
1. დაგეგმვა და მომზადება დაკითხვის წინ	37
არსებული ვარაუდის ალტერნატიული ჰიპოთეზები	37
უცნობი ფაქტების გათვალისწინება: საგამოძიებო აზროვნება	37
საქმეებში სადაც მონაწილეობს თარჯიმანი	38
2. შესავალი ნაწილი: კეთილგანწყობის ჩამოყალიბება და ბავშვის შეგუება დაკითხვის გარემოსთან	38
3. დაკითხვისთვის ვარჯიში (ეპიზოდური მეხსიერების ვარჯიში)	39
4. საბაზისო წესები (ბავშვებზე მორგებული და კანონმდებლობის შესაბამისი)	39
5. ძირითადი ნაწილი	39
მაგალითი: იძულებითი / ბავშვთა შრომა	39
მაგალითი: ონლაინ სექსუალური ძალადობა	40

როდესაც ბავშვმა გამოსცადა რაიმე განმეორებითად	41
ფსიქოლოგიური იძულებისა და კონტროლის შესწავლა	41
თუ ბავშვს არ სურს ისაუბროს განსახილველ თემაზე	42
6. დასასრული	42
ბიბლიოგრაფია	44

შესავალი

ამ სახელმძღვანელოს მიზანია დაეხმაროს სპეციალისტებს ტრეფიკინგის საქმეებზე საგამომიებო მოქმედებების ფარგლებში ბავშვების დაკითხვის/გამოკითხვის ჩატარებაში.

ბავშვების დაკითხვის/გამოკითხვის კვლევა ინტენსიურად მიმდინარეობს ბოლო დეკადების განმავლობაში. კვლევის შედეგად ჩამოყალიბდა პრაქტიკოსებისთვის განკუთვნილი რამდენიმე რეკომენდაცია და დაკითხვის/გამოკითხვის პროტოკოლი. კვლევის უმეტესი ნაწილი ორიენტირებულია სექსუალური ძალადობის საქმეების გამოძიებებზე.ⁱ წლების განმავლობაში ნაკლები ყურადღება ეთმობოდა ბავშვების დაკითხვას/გამოკითხვას სხვა ტიპის სიტუაციებში, როგორცაა, მაგალითად, თავშესაფრის მოთხოვნის პროცესები, მეურვეობასთან დაკავშირებული დავები და ბავშვების ტრეფიკინგის გამოძიებები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რომ კვლევის ფარგლებში შეფასდეს რეალურ საქმეებზე წარმოებული დაკითხვები/გამოკითხვები და ასევე, ჩატარდეს ემპირიული კვლევა, რათა შემოწმდეს ამჟამინდელი დაკითხვის/გამოკითხვის პრინციპები რამდენად გამოსადეგი და შესაფერისია ამ საქმეებისთვის.

მართალია საუკეთესო პრაქტიკის ბევრი ძირითადი თავისებურება სხვადასხვა პროცესუალურ კონტექსტში ერთი და იგივეაⁱⁱ, თუმცა, ზოგიერთი ასპექტი უფრო რელევანტურია ტრეფიკინგის კონტექსტში, ვიდრე სხვა შემთხვევებში. ამ სახელმძღვანელოში მოცემულია ზოგიერთი ასეთი ასპექტი, ამასთანავე, ხაზგასმულია, რომ "ერთი ზომის ყველაზე მორგების" მეთოდი არ უნდა იქნას გამოყენებული სხვადასხვა სიტუაციებში, სადაც ბავშვები შეიძლება აღმოჩნდნენ, მათ შორის ისეთ შემთხვევებში, როდესაც თავად ბავშვები შეიძლება იყვნენ ეჭვმიტანილები დანაშაულის ჩადენაში, მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებით.

ეს სახელმძღვანელო ეფუძნება პრაქტიკოსების კვლევებსა და გამოცდილებას. მასში წარმოდგენილია მაგალითები კონკრეტული საქმეებიდან და დაკითხვების/გამოკითხვების ამონარიდები. ყურადღება გამახვილებულია მტკიცებულებებზე დაფუძნებული დაკითხვების/გამოკითხვების პროტოკოლებზე. ასევე, წარმოდგენილია ის ზოგადი ძირეული პრინციპები და თავისებურებები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვების ტრეფიკინგის საქმეების გამოძიებისასⁱⁱⁱ.

ამ სახელმძღვანელოსგან ფარგლებს გარეთაც, რიგ შემთხვევებში პრაქტიკოსებს მოუწოდებენ, რომ ბავშვების საგამომიებო მოქმედების ფარგლებში დაკითხვის/გამოკითხვის ვიდეო ჩანაწერი გაკეთდეს და თუ ნებადართულია შესაბამის იურისდიქციაში, გამოყენებული იქნას სასამართლოში მტკიცებულების სახით, ისე რომ გათვალისწინებული იქნას ასევე დაცვის უფლების პატივისცემა და არ გახდეს საჭირო სასამართლოში ბავშვების ჯვარედინი დაკითხვა, რაც შეიძლება განსაკუთრებით საზიანო აღმოჩნდეს მათთვის^{iv}.

ⁱ ბავშვებზე სექსუალური ძალადობის საქმეების გამოძიების თემაზე ამომწურავი სახელმძღვანელოსთვის, რომელიც საკმაოდ ინფორმატიულია, იხ.

Kuehnie & Connell, 2008: ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ბრალდებების შეფასება.

ii მაგალითად, 2021 წელს გამოცემული "მენდენის პრინციპები", რომელიც მოწონებულია გაერთიანებული ერების მიერ და განუთვნილია საგამომიებო მოქმედებების ფარგლებში ბავშვების დაკითხვის/გამოკითხვისთვის, Lamb et al., 2018.

iii დათქმა: ტრეფიკინგის ცნება საკმაოდ ფართოა და გარკვეულწილად, ინტერპრეტაციის საგანია. ამ სახელმძღვანელოს ფარგლებში არ არის წარმოდგენილი სამართლებრივი ინტერპრეტაციების მხარდაჭერა. ამ სახელმძღვანელოში მოცემული სხვადასხვა მაგალითები ყოველთვის შეიძლება არ დაკვალიფიცირდეს როგორც ტრეფიკინგი. მაგალითად, ონლაინ სექსუალური ძალადობის ბევრი ფორმა შეიძლება გამოიხატოს და დაკვალიფიცირებული იქნას სხვა დანაშაულის სახით. ბავშვების დაკითხვის/გამოკითხვისას და გასათვალისწინებელი ფსიქოლოგიური ფაქტორების თვალსაზრისით, სამართლებრივი დეფინიცია არ არის გადამწყვეტი.

iv Andrews et al., 2015; Korkman et al., 2024; Righarts et al., 2015

იხ. ასევე გზავიარედიანებზე: სისხლის სამართლის პროცესის ცვლილებების კვლევა, რომლებიც უკავშირდება ბავშვთა დაცვის პროცესს, საქმეებში, სადაც ბავშვები არიან ძალადობის მსხვერპლი - <https://www.barnahus.eu/en/publication/at-the-crossroads-exploring-changes-to-criminal-justice-proceedings-when-they-intersect-with-child-protection-proceedings-in-cases-involving-child-victims-of-violence/>

იხ. ასევე მიზნობრივი მხარდაჭერის საჭიროება, Barnahus-ის როლი ბავშვების ტრეფიკინგის იდენტიფიცირებასა და გამოძიებაში და მსხვერპლთა მხარდაჭერა და დახმარება <https://childrenatrisk.cbss.org/publications/in-need-of-targeted-support/>

მეხსიერება და ბავშვის განვითარება

ამ თავში განვიხილავთ როგორ მუშაობს მეხსიერება ბავშვობაში და აქცენტს ვაკეთებთ იმ ასპექტებზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ბავშვის დაკითხვის/გამოკითხვისთვის მოსამზადებლად, რომელზეც არსებობს ეჭვი, რომ არის ტრეფიკინგის ან ექსპლოატაციის მსხვერპლი. ასევე აქ მოცემულია რჩევები დაკითხვის/გამოკითხვის მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებით ისე, რომ დავეხმაროთ ბავშვს გახსენებაში და თავი ავარიდოთ მინიშნებების ზეგავლენას.

მეხსიერება მჭიდროდ არის დაკავშირებული ენის განვითარებასთან

ბავშვებს ადრეულ ასაკში აქვთ მიდრეკილება, რომ აითვისონ უზარმაზარი მოცულობის ახალი ინფორმაცია ყოველდღიურად. თუმცა, ამ ეტაპზე მათ არ აქვთ ჩამოყალიბებული სტრატეგია როგორ უნდა გაიხსენონ და ისაუბრონ იმაზე რაც ისწავლეს და რა გამოცდილებაც მიიღეს. მათი მეხსიერება შესაძლებელია ფრაგმენტირებული ჩანდეს ნაკლები წარსული გამოცდილების გამო, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა დამახსოვრებული ინფორმაციის გაერთიანება. ეს იმ შემთხვევას ჰგავს, როდესაც გამოცდილი კომპოზიტორი და დამწყები მუსიკოსი ესწრებიან კლასიკური მუსიკის კონცერტს, ორივე მათგანს შეუძლია რაღაც თქვას თავისი შთაბეჭდილებების შესახებ, მაგრამ კომპოზიტორს ექნება ბევრად უფრო სიღრმისეული აღქმა იმისა, რაც ხდება მუსიკაში და უფრო დიდი სიტყვათა მარაგი, რომ გამოხატოს და ჩამოაყალიბოს თავისი შთაბეჭდილება.

ბავშვების მიერ ლაპარაკის სწავლა, თავიანთი შთაბეჭდილებების აღწერა და მეხსიერების ფორმირება ამ გამოცდილების შესაბამისად, დიდ-წილად დამოკიდებულია იმაზე მათ გარშემო მყოფი უფროსები როგო ხსნიან მოვლენებს და როგორ საუბრობენ მათზე, ასევე სიტყვათა მარაგზე, რომელიც მიეწოდებათ აღზრდის პროცესში.

ინფანტილური ამნეზია

ცნობილია, რომ მეხსიერებისა და სასაუბრო ენის ჩამოყალიბება ურთიერთდაკავშირებულია და ამაში იგულისხმება, რომ ბავშვი როდესაც სწავლობს თავისი შთაბეჭდილებების აღწერას, ასევე ითვისებს მათ დალაგებას მეხსიერებაში. ეს არის იმ მოვლენის ახსნა, რომელსაც უწოდებენ *ინფანტილურ ამნეზიას* - ფაქტს, როდესაც ზრდასრულ ადამიანს თითქმის არ ახსოვს რა ხდებოდა 3-4 წლის ასაკამდე. კვლევებმა რეალურად აჩვენა, რომ მნიშვნელოვანი განსხვავებაა ადამიანებს შორის ასაკის მიხედვით, რომლიდანაც აქვთ ბავშვობის მოგონებები. შესაძლებელია ასევე გამოიკვეთოს კულტურული განსხვავებებიც.

რაც გვახსოვს დაკავშირებულია იმასთან, რაც უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის და თავის მხრივ, ეს დამოკიდებულია ჩვენს წარსულზე, კულტურაზე, წარსულ გამოცდილებაზე და კონტექსტზე, რომელშიც ვიხსენებთ ინფორმაციას. მიუხედავად იმისა, რომ მეხსიერების ფორმირების ძირითადი მექანიზმები უნივერსალურია, კულტურული და ოჯახური ფაქტორები გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ ხდება მოგონებების ჩამოყალიბება და

გადმოცემა ¹. ენის მსგავსად, მეხსიერება დიდ-წილად არის დამოკიდებული ბავშვის სოციალურ გარემოზე.

ინფანტილური ამნეზია არ ნიშნავს, რომ *ბავშვები* ვერ იხსენებენ რაიმე მოვლენას, 3-4 წლის ასაკამდე. ეს ნიშნავს, რომ მოგონებების დავიწყება ხდება, სანამ ისინი მიაღწევენ ზრდასრულ ასაკს. ახალმა კვლევებმა აჩვენა, რომ მოგონებების დათარიღება რთულია და ახალგაზრდებმა, ისევე როგორც ბავშვებმა, შესაძლებელია თავიანთ პირველ მოგონებებს უფრო გვიანდელი თარიღი დაუკავშირონ და ამგვარად, შემდგომში იფიქრონ, რომ მოვლენები უფრო გვიან მოხდა, ვიდრე სინამდვილეში². მეორე მხრივ, კვლევები ასევე გვაჩვენებს, რომ ბევრი ზრდასრული ადამიანი, განსაკუთრებით შედარებით ხანდაზმული, ფიქრობს, რომ მოგონებები შემონახული აქვს ისეთი ასაკიდან, რაც კვლევების თვალსაზრისით, ნაკლებად დამაჯერებელია. მათ შორის 14%-ს "ახსოვს" მოვლენები 1 წლის ასაკამდე პერიოდიდანაც ³.

მეხსიერების წყაროს მონიტორინგი

ბავშვები ხშირად აწყდებიან ისეთ პრობლემას, როგორცაა *მეხსიერების წყაროს მონიტორინგი*, ანუ თავიანთი ცოდნის, მახსოვრობის წყაროს შეფასება, საიდანაც მომდინარეობს მოგონებები.

განვიხილოთ მაგალითი, როდესაც ბავშვი საუბრობს სავარაუდო მოტაცების მცდელობაზე.

მაგალითი: მოტაცების მცდელობა, ავტომობილის აღწერა

ბავშვი: შემდეგ ის კაცი მოვიდა და მთხოვა მის ავტომობილში ჩაჯდომა
(შემდეგ დაკითხვის/გამოკითხვის მიმდინარეობისას, დაკითხვის /გამოკითხვის მწარმოებელი ცდილობს მოიპოვოს ინფორმაცია ავტომობილის შესახებ)

დამკითხველი: რა ფირმის იყო ავტომობილი?

ბავშვი: ის იყო ... ვოლვო

ან

დამკითხველი: რა ფერის იყო ავტომობილი?

ბავშვი: ის იყო ... წითელი

ან

დამკითხველი: შეგიძლიათ მომიყვეთ ავტომობილის შესახებ?

ბავშვი: მას ჰქონდა იხვი დონალდის სტიკერი ფანჯარაზე

ან

¹ Wang et al., 2004

² Wang et al., 2019

³ Akhtar et al., 2018

ბავშვი: ისეთივე იყო, როგორც დედაჩემს ჰყავს, მაგრამ უფრო მუქი

ავტომობილის ბრენდის შესახებ შეკითხვის დასმისას დამკითხველმა არ იცის ბავშვს საერთოდ შეუძლია თუ არა ბრენდების ამოცნობა. არსებობს რისკი, რომ ბავშვი დამკითხველისთვის თავის მოწონების მიზნით, შეეცადოს მოიფიქროს შესაბამისი პასუხი ისე, რომ არც კი იცოდეს სწორი პასუხი შეკითხვაზე. ბავშვებს შესაძლებელია შეექმნათ პრობლემა საკუთარი ცოდნის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით ან იმის გამო, რომ ფაქტობრივად, არ ახსოვთ რაღაც. ამავდროულად, მათ შეიძლება უფრო მეტად სურდეთ, რომ თავი მოაწონონ დამკითხველს, ვიდრე მოახდინონ საკუთარ მეხსიერებაზე დაკვირვება და გადმოსცენ მხოლოდ ის, რაც ნამდვილად ახსოვთ კონტექსტიდან გამომდინარე, რომელზეც დამკითხველი მიუთითებს.

აღნიშნულის საპირისპიროდ, თუ ავტომობილზე დამატებით მითითებების გარეშე დაუსვამთ შეკითხვას, ბავშვი სპონტანურად მიუთითებს დეტალებს, მათ შორის ისეთსაც, რომელსაც დამკითხველი შესაძლებელია საერთოდ არ გულისხმობდა. პატარა ბავშვისთვის იხვი დონალდის სტიკერი ბუნებრივია, უფრო დასამახსოვრებელია, ვიდრე ავტომობილის ფირმა (რა თქმა უნდა ესეც დამოკიდებულია ბავშვის ინტერესებზე. ზოგიერთი ბავშვი ავტომობილების ნამდვილი ექსპერტია!). გარდა ამისა, იხვი დონალდის სტიკერი შესაძლებელია უფრო ღირებული მტკიცებულება იყოს გამოძიებისთვის, ვიდრე ბავშვის მიერ ამოცნობილი ავტომობილის ბრენდი ან ფერი.

ბავშვის დაკითხვის/გამოკითხვის ასაკი შეიძლება განსხვავებული იყოს კონკრეტული ბავშვიდან გამომდინარე, მაგრამ ზოგადად, 4 წლის ქვემოთ ბავშვებს ნაკლებად შეუძლიათ ჩვენების მიცემა თავიანთი ისეთი გამოცდილების შესახებ, რომელიც შეიძლება ძალიან მარტივად გასაგები ეგონოს არაინფორმირებულ ზრდასრული ადამიანს (ანუ ზრდასრული ადამიანისთვის, რომელსაც არ აქვს ინფორმაცია ბავშვის გამოცდილების შესახებ).

ბავშვის განვითარება და მითითებებზე დამოკიდებულება

მითითებებზე დამოკიდებულება შეიძლება განიმარტოს, როგორ მიდრეკილება:

- მეხსიერებაში გააერთიანოს ისეთი ამბები, რომლის გამოცდილებაც რეალურად არ ჰქონია ამით დაამახინჯოს ფაქტები;
- პასუხები გასცეს დამკითხველის მოლოდინის მიხედვით (მიუხედავად იმისა, რომ აცნობიერებს, რომ პასუხი განსხვავდება მეხსიერებაში რეალურად არსებული ფაქტებისგან).

ვინაიდან ადამიანებს, ზოგადად, აქვთ მინიშნებებზე დამოკიდებულებისადმი მიდრეკილება, განსაკუთრებით, როდესაც საქმე აქვთ ავტორიტეტულ ადამიანთან, ბავშვები და მოზარდები შესაძლებელია განსაკუთრებით მგრძობიარეები აღმოჩნდნენ მინიშნებებისადმი. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ მინიშნებებმა შეიძლება მიგვიყვანოს სრულიად არასწორ ჩვენებამდე, მიუხედავად იმისა მიმანიშნებელ საუბარს ადგილი ჰქონდა საგამოძიებო დაკითხვის/გამოკითხვის კონტექსტის გარეთ თუ მის ფარგლებში.

პატარა ბავშვები დამოკიდებული არიან უფროსებზე, რომლებიც ეხმარებიან სამყაროს შეცნობაში

ძალიან ლოგიკურია პატარა ბავშვისთვის ივარაუდოს, რომ ზრდასრულმა ადამიანმა მასზე უკეთესად "იცის" მისი გამოცდილებების შესახებ. პატარა ბავშვები იზრდებიან მათთვის გაუგებარი მოვლენებით სავსე სამყაროში და ამიტომ ისინი დამოკიდებული არიან

უფროსებზე, რომლებმაც უნდა აუხსნან რა ხდება. მათი მეხსიერება და ენობრივი შესაძლებლობები კვლავ ჩამოყალიბების პროცესშია და ისინი, როგორც წესი, უფრო დამოკიდებული არიან მინიშნებებზე, ვინაიდან მიჩვეული არიან, რომ უფროსებმა უნდა აუხსნან რა ხდება მათ გარშემო სამყაროში.

შესაბამისად, შედარებით პატარა ასაკში ბავშვები აწყდებიან დაბრკოლებებს გამოძიების ფარგლებში დაკითხვის/გამოკითხვის დროს, ვინაიდან მათ არ შეუძლიათ კრიტიკულად შეხედონ ზრდასრული ადამიანის ჩვენებას იმის თაობაზე, რაც მათ გამოიარეს.

აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ უფროსებს დიდი ზეგავლენა აქვთ იმაზე თუ როგორ გადმოსცემენ ბავშვები თავიანთ შთაბეჭდილებებს. ბავშვები მინიშნებებზე დამოკიდებულები არიან, ზოგადად, უფროსებთან მიმართებაში და განსაკუთრებით, იმ უფროსებთან, რომელზეც დამოკიდებული არიან.

პატარა ბავშვების მინიშნებებზე დამოკიდებულება, რაც იწვევს არასწორი ჩვენებების მიცემას

განვიხილოთ ქვემოთ მოცემული ამონარიდი დედისა და ქალიშვილის დიალოგიდან. ამ შემთხვევაში, დედა შემფოთებულია იმის გამო, რომ მამამ, რომელთაც დაშორებულია, იძალადა ქალიშვილზე, როდესაც ეს უკანასკნელი მასთან დარჩა. მან ჩაიწერა გოგონასთან დიალოგი და შემდგომ წარადგინა პოლიციაში.

ბავშვის მინიშნებებზე დამოკიდებულების მაგალითი

დედა: და როდის მოხდა ეს?

ქალიშვილი: შემდგ სამშაბათს

...

დედა: როდის მოხდა?

ქალიშვილი: არ ვიცი

დედა: დიდი ხნის წინ იყო?

ქალიშვილი: ძალიან დიდი ხნის წინ

დედა: კარგი, ესეიგი დიდი ხნის წინ

ქალიშვილი: კი

დედა: ეს ახლა ხომ არ მოხდა, მამასთან რომ იყავი სახლში?

ქალიშვილი: კი, ეს მაშინ მოხდა როდესაც მამასთან სახლში ვიყავი

დედა ვერ ამჩნევს, მაგრამ ჩანაწერის მიხედვით, დიალოგზე დაკვირვებისას, აშკარაა, რომ ქალიშვილი ცდილობს მიჰყვეს დედის მინიშნებებს. ის იმეორებს დედის ვარაუდებს და მიყვება ყველა მიმანიშნებელ შეკითხვას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფაქტი ძალიან ადვილად შესამჩნევია ნეიტრალური დამკვირვებლისთვის, ვისთვისაც ცნობილია მითითებებზე დამოკიდებულების ფენომენი და ამახვილებს ყურადღებას შეკითხვებისა და პასუხების ჩამოყალიბებაზე, შესაძლებელია ეს სრულიად შეუმჩნეველი აღმოჩნდეს დაინტერესებული ზრდასრული პირისთვის, რომელმაც შეიძლება აღიქვას ბავშვის მხრიდან სიჩუმე ან არასწორი პასუხი იმის მანიშნებლად, რომ ძალიან მძიმე თემაა.

კვლევებით⁴ დადგინდა, რომ ბავშვებმა დედისგან მიღებული არასწორი ინფორმაცია შესაძლებელია გააერთიანონ საკუთარ მოგონებებში მოვლენებთან დაკავშირებით, ხოლო უფროსებს, შესაძლებელია შეექმნათ პრობლემა იმის გარკვევასთან დაკავშირებით, თუ საიდან მოდის ბავშვის განცხადებები. ძლიან რთულია გარკვევა ბავშვის ჩვენება არის პასუხი მიმანიშნებელ შეკითხვებზე, თუ ინფორმაცია მოწოდებულია სპონტანურად⁵. ასეთი რამ ხშირად ხდება რეალურ შემთხვევებში, როდესაც არსებობს ვარაუდი, რომ ბავშვის მიმართ ადგილი ჰქონდა ძალადობას. ერთ-ერთი კვლევისას გაანალიზებული იქნა მშობლებსა და შვილებს შორის გამართული საუბრის ჩანაწერები ისეთ სიტუაციებში, როდესაც მშობლებს ჰქონდათ ეჭვი, რომ მათი შვილი იყო ძალადობის მსხვერპლი. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მშობლები განსახილველ შემთხვევაში ძირითადად სვამდნენ მიმანიშნებელ, მისათითებელ შეკითხვებს და საუბრისას ძირითადად თავად უფრო მეტად ახდენდნენ ინფორმაციის მოწოდებას, ვიდრე ბავშვი⁶. მნიშვნელოვანია, რომ მშობლებმა აღიქვეს ჩანაწერი როგორც იმის მტკიცებულება, რომ ბავშვებმა მისცეს ჩვენება ძალადობის შესახებ. აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ უფროსები ფაქტობრივად შეიძლება ვერ აცნობიერებდნენ რა არის მინიშნებებზე დამოკიდებულება და როგორი შეიძლება იყოს მიმანიშნებელი შეკითხვები.

მოზარდების დამოკიდებულება მითითებებზე, რაც იწვევს არასწორ აღიარებას

მცირეწლოვანი ბავშვების მითითებებზე დამოკიდებულების შესახებ არსებობს მრავალფეროვანი ლიტერატურა, განსაკუთრებით სკოლამდელი ასაკის ბავშვებზე, მაგრამ შედარებით ნაკლები მასალაა მოზარდებთან დაკავშირებით. იმ დროს როდესაც, სკოლამდელი და მცირეწლოვანი სასკოლო ასაკის ბავშვები გამოკვეთილად და შესამჩნევად მოწყვლადები არიან, მოზარდებმა შეიძლება დაგვიტოვონ შთაბეჭდილება, რომ უკვე დიდები არიან და მათი საქციელიდან გამომდინარე არ გაუჩინონ ზრდასრულ ადამიანებს გრძნობა, რომ ისინიც საჭიროებენ დაცვას. რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება მოზარდობის პერიოდს მოიცავს ჰორმონალურ ცვლილებებს, რაც თავისთავად გავლენას ახდენს ქცევაზე. ამ ასაკისთვის დამახასიათებელია რისკის საკუთარ თავზე აღების მცდელობა, ჩამოუყალიბებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა და ზრდასრული ადამიანის გარეგნობა, მაშინ როდესაც კოგნიტური და ემოციური მომწიფება ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.

ეს რისკის ფაქტორები გავლენას ახდენს საგამომიებო პროცესებზე, რომლებიც შეეხება მოზარდებს. მაგალითად, ლიტერატურის მიხედვით, რომელიც შეეხება ყალბ აღიარებებს ანუ შემთხვევებს, როდესაც პირი აღიარებს დანაშაულს, რომელიც სინამდვილეში არ ჩაუდენია, მოზარდებში უფრო მეტია ასეთი ყალბი აღიარების რისკი, ვიდრე ზრდასრულებში⁷. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტრეფიკინგის კონტექსტში, ვინაიდან მოზარდებთან მიმართებაში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მანიპულირებას ან კრიმინალურ საქმიანობაში იძულებით ჩართვას ზრდასრული დამნაშავეების მხრიდან, რის შედეგადაც მართლმსაჯულების სისტემა მათ ჩათვლის ეჭვმიტანილებად და დამნაშავეებად და არა მსხვერპლად. აღნიშნულია ძალიან ნეგატიურად იმოქმედებს ნდობის ჩამოყალიბებაზე და ასეთი მოზარდები ვეღარ

⁴ Principe et al., 2013.

⁵ Bruck et al., 1999; Lamb et al., 2000.


⁶ Korkman, Juusola & Santtila, 2014.

⁷ Gudjonsson, 2021.

შეძლებენ ისაუბრონ საკუთარ მოწყვლადობაზე, ვიქტიმიზაციასა და პოტენციურ დანაშაულზე, რომელიც მათ წინააღმდეგ შეიძლება იქნას ჩადენილი.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა, მითითებებზე დამოკიდებულების თავიდან ასაცილებლად

კვლევებმა აჩვენა, რომ თუ დაკითხვა მიმანიშნებელია, ბავშვების ჩვენებები თავიანთ გამოცდილებებთან დაკავშირებით შესაძლებელია მკვეთრად შეიცვალოს.




გამოიყენეთ შეკითხვები მიანიშნებების გარეშე, რათა ხელი შეუწყოთ მეხსიერების გააქტიურებას

მიუხედავად იმისა, რომ დამკითხველების უმეტესობისთვის ცნობილია, რომ არ უნდა გამოიყენონ მიმანიშნებელი კითხვები, ბევრმა მათგანმა შესაძლებელია არ იცოდეს რატომ არის ეს საჭირო.

თავისუფალ თხრობაზე მიმართული შეკითხვები, როგორცაა მაგალითად - "მომიყვი ამ დღის შესახებ", უბიძგებს დასაკითხ/გამოსაკითხ პირებს, რომ გაააქტიურონ ინფორმაციის მოძიება საკუთარ მეხსიერებაში. შედეგად, დასაკითხმა პირმა შეიძლება გაამჟღავნოს ისეთი რამეებიც, რაზედაც დამკითხველს არც კი უფიქრია, რომ შეკითხვა დაესვა. ჩვენ, ყველანი განვსხვავდებით იმით, რომ სხვადასხვა დეტალებს ვამჩნევთ. ასევე არიან ბავშვებიც.

აღნიშნულის საპირისპიროდ, დახურული ან მიმანიშნებელი შეკითხვების დასმისას, როგორც არის - "სამსახურიდან შინ რომ ბრუნდებოდით მაშინ დაინახეთ თავდასხმა?" - დასაკითხი პირის რეაქცია შესაძლებელია იყოს მხოლოდ მიწოდებულ ინფორმაციაზე დათანხმება ან უარყოფა. მათ შეიძლება ავტომატურად ივარაუდონ კიდევ, რომ შეკითხვაში მოცემული ინფორმაცია სწორია და მიჰყვნენ ან მონაცემს ისე, რომ ვერც კი შეამჩნიონ და შემდგომში ეს ინფორმაცია შეიძლება გახდეს იმ მოცემულობის ნაწილი, რომელიც ჰგონიათ რომ ახსოვთ.



მიიღეთ მაქსიმალურად სრული დახასიათება, რათა თავიდან აირიდოთ ყოველგვარი წინასწარი ზეგავლენა ბავშვის მეხსიერებაზე.

დამკითხველები უნდა შეეცადონ, რომ ბავშვისგან მიიღონ მაქსიმალურად ამომწურავი დახასიათება ადამიანების, მოვლენების, ურთიერთობების, მოქმედებების შესახებ, ასევე ჰქონდეთ საშუალება სრულად აღწერონ საკუთარი აზრები, გრძნობები და ემოციები.

გარდა იმ ზეგავლენის გათვალისწინებისა, რომელიც უფროსებს აქვთ ბავშვის მეხსიერებაზე, მნიშვნელოვანია ასევე მხედველობაში იქნას მიღებული მანამდე უფროსებთან საუბარს როგორი გავლენა შეიძლებოდა მოეხდინა ბავშვის მიერ კონკრეტული გამოცდილების აღქმაზე. ბავშვებისთვის შესაძლებელია რთული გასააზრებელი იყოს, რომ უფროსები, მათ შორის მათი მშობლები, შესაძლებელია ცდებოდნენ ან იტყუებოდნენ.

პოტენციურმა მოძალადეებმა შეიძლება ისარგებლონ ბავშვის მითითებებზე დამოკიდებულებითა და გულუბრყვილობით და მაგალითად, ძალადობის შემთხვევები წარმოაჩინონ როგორც ნორმალური ან პოზიტიური სიტუაციები. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ბავშვს შეეკითხებით "რამე ცუდი" ხომ არ მოხდა, მან შეიძლება ვერ გაამჟღავნოს ის შემთხვევები, რომელიც რეალურად ძალადობრივი იყო და ბავშვისთვის საფრთხეს წარმოადგენდა.

შეინარჩუნეთ ნეიტრალურობა



ზოგადად, უფროსებისთვის დამახასიათებელია, რომ ბავშვების მაგივრად მოახდინონ ინტერპრეტაცია რა "შეიძლება" მათ ეგრძნოთ ან როგორ აღიქვამდნენ მოვლენას. როდესაც ასეთი გამოცნობა მცდარია, ამან შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის ჩვენებისა და პასუხების აცდენაც მისი თავდაპირველი შთაბეჭდილებებიდან.

მოერიდეთ შეკითხვებს, რომლებიც პასუხია: დიახ/არა



ბავშვები განსაკუთრებით მგრძობიარეები არიან მინიშნებების მიმართ და შესაძლებელია, სრულიად გაუზრებლად უპასუხოთ: დიახ/არა. მაგალითად, უსვამთ ასეთ უაზრო შეკითხვას: "ჯემპერი უფრო გაბრაზებულია, ვიდრე სპილო?" სკოლამდელი ასაკის ბავშვები ხშირად პასუხობენ: "დიახ", ნაკლებად იყენებენ "არას" და იშვიათად მიუთითებენ, რომ ვერ გაიგეს შეკითხვა ან არ იციან პასუხი.⁸

მეხსიერების გაგება (არასწორად გაგება)

მეხსიერების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო თავისებურება, რომელიც ამავდროულად შესაძლებელია, ყველაზე ნაკლებად გასაგები იყოს, გახლავთ ის ფაქტი, რომ იგი არ მუშაობს ვიდეო ჩამწერის მსგავსად. მეხსიერება არის ძალიან დამყოლი. ჩვენი მოგონებები მუდმივად იცვლება. მათ აქვთ მიდრეკილება დამახინჯებისა და ხელახალი ინტერპრეტირებისკენ, რაც დამოკიდებულია ინფორმაციაზე, რომელსაც ვიღებთ სხვა წყაროდან, განსაკუთრებით იმ ადამიანებისგან, ვისაც ვენდობით. ეს დამახასიათებელია ზოგადად ადამიანებისთვის, როგორც მოზრდილების, ასევე ბავშვებისთვის.

აღნიშნული ასევე ნიშნავს, რომ ჩვენ შესაძლებელია შევცვალოთ ჩვენი გამოცდილებების ხედვა შემდგომ ეტაპზე. ასეთი რამ ხშირად ფიქსირდება ძალადობის მსხვერპლ ბავშვებსა და ტრეფიკინგის ან/და ინტიმური პარტნიორის ძალადობის მსხვერპლთა შემთხვევაში. ზოგჯერ მსხვერპლი არ აცნობიერებს მოვლენების ძალადობრივ ელემენტებს საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში. ჩამოყალიბების შემდეგ ბავშვები, მაგალითად, აცნობიერებენ ხოლმე რომ ის რაც მათ გამოსცადეს არ არის სხვა ბავშვების ჩვეულებრივი ცხოვრების ნაწილი.

ასევე მნიშვნელოვანია გავიაზროთ მეხსიერების ასოციაციური ხასიათი. რაც უფრო მეტ სხვადასხვა დეტალს ამუშავებს მოწმე, მათ შორის ისეთსაც, რომელიც სისხლის სამართლის საქმის გამოძიების თვალსაზრისით უმნიშვნელოა, უფრო მეტია ალბათობა რომ დაიმახსოვროს ეს დეტალები. ამასთანავე, მოგონებები ყოველთვის არ წარმოჩინდება ქრონოლოგიურად. გამოძიების ფარგლებში დაკითხვა უნდა იყოს მორგებული დასაკითხი პირის თხრობისა და მახსოვრობის ფორმებზე და არა პირიქით⁹.

განმეორებადი მოვლენების დამახსოვრება

მართლმსაჯულების სისტემაში შესაძლებელია არსებობდეს მოლოდინი, რომ თუ რაიმე მოვლენა რამდენჯერმე განმეორდა, მისი დამახსოვრება უკეთესად მოხდებოდა, ვიდრე ერთხელ მომხდარი მოვლენის. თუმცა, მეხსიერებასთან დაკავშირებული პარადოქსული

⁸ Heather Fritzley et al., 2013

⁹ ეს და ბევრი სხვა ასპექტი ხაზს უსვამს დაკითხვის ელექტრონულად ჩაწერის აუცილებლობას და უპირატესობას დაკითხვისას ჩვენებების წერილობით დაფიქსირებასთან მიმართებაში.

აღმოჩენა იმაში მდგომარეობს, რომ განმეორებადი მოვლენების დეტალები უფრო ნაკლებად ამახსოვრდებათ ადამიანებს, ვიდრე უნიკალური შემთხვევის. მეხსიერება უკეთესად ინახავს უნიკალურ გამოცდილებას, ვიდრე ყოველდღიურს. ასევე, როდესაც გარკვეული სიტუაცია მეორდება, ჩვენ გვიყალიბდება ე.წ. მოვლენათა "სკრიპტები" იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხდება "ჩვეულებრივ" ეს მოვლენები და არ გვამახსოვრდება როგორც ცალკეული რამდენიმე მოვლენა. აღნიშნული ამჟამად რელევანტურია, მაგალითად, ოჯახური ძალადობის, სექსუალური ან იძულებითი შრომის მიზნით ტრეფიკინგის საქმეებთან მიმართებაში, ასევე, სხვადასხვა ფორმის ადამიანით ვაჭრობისა და ექსპლუატაციის კონტექსტში.

დაფიქრდით, როგორ შეეცდებით აღწეროთ ყველა შობა, ახალი წელი, დაბადების დღე (ან სხვა რომელიმე მოვლენა, რომელიც მნიშვნელოვანია თქვენს სოციალურ გარემოში), რომელიც ცხოვრებაში გქონიათ. დიდი ალბათობით ეს შეუძლებელია. სამაგიეროდ, თქვენ შეგიძლიათ აღწეროთ ჩვეულებრივ რა ხდება შობას და შესაძლებელია, ასევე გაიხსენოთ რა მოხდა რომელიმე ძალიან განსაკუთრებულ შობაზე, რომელიც გამოირჩეოდა სხვა დანარჩენებისგან.

დაკითხვა/გამოკითხვა განმეორებად მოვლენებთან დაკავშირებით



დაკითხვის/გამოკითხვის დროს გონივრულია, რომ **კითხვა დაფუძვით გამორჩეული სიტუაციების შესახებ, როგორც არის, პირველი, ბოლო ან ყველაზე დასამახსოვრებელი შემთხვევა** (მაგალითად, შეიძლება იყოს ყველაზე უარესი, თუ უკვე დადგენილია, რომ ბავშვი საუბრობს ნეგატიურ გამოცდილებაზე).

გარდა ამისა, სასურველია დაკითხვის დასაწყისშივე სცადოთ **დაადგინოთ რაიმე მოვლენა ერთხელ მოხდა თუ რამდენჯერმე** და დაუსვათ როგორც ზოგადი ("ჩვეულებრივ რა ხდებოდა, როდესაც..."), ასევე, კონკრეტული ("რა მოხდა იმ დღეს ბაღში?") შეკითხვები.

დამატებითი შეკითხვები მკაფიოდ უნდა მიუთითებდეს კონკრეტულად რომელ შემთხვევაზე საუბრობთ (" მომიყვით მეტი ბაღში მომხდარ ამბავზე")¹⁰.

პოტენციურად ტრავმული ¹¹ და სტრესული მოვლენების დამახსოვრება

კვლევებმა სამწუხაროდ, აჩვენა, რომ ტრავმულ ან ნამდვილად სტრესულ მოვლენებთან დაკავშირებული მოგონებების დავიწყება უფრო ძნელია, ვიდრე სხვა უფრო ნეიტრალური ან პოზიტიური მოგონებების.

მეხსიერების ძირითადი მექანიზმები ერთიდაიგივეა როგორც ძალიან სტრესული, ასევე სხვა ტიპის მოგონებებისთვის. თუმცა, არსებობს მტკიცებულებები, რომ განსაკუთრებით სტრესულ სიტუაციებთან დაკავშირებული მოგონებები შეიძლება იყოს უფრო "ზედაპირული" ვიდრე სხვა მოგონებები, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი უფრო ორიენტირებულია მოვლენის მთავარ დეტალებზე, პერიფერიული დეტალების ხარჯზე. დიდი სტრესის გადატანას ასევე ნეგატიური გავლენა შეიძლება ჰქონდეს მეხსიერებაზე,

¹⁰ Brubacher et al, 2014.

¹¹ ტერმინი "ტრავმა" ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად გამოიყენება. ზოგჯერ მას უფრო ვიწრო მნიშვნელობა აქვს პოსტტრავმული სტრესული აშლილობის დიაგნოზთან მიმართებაში, ზოგჯერ კი ძალიან ფართო ცნებაა და მოიცავს მრავალი სახის ნეგატიურ ცხოვრებისეულ მოვლენას. გარდა ამისა, სხვადასხვა სახის გამოცდილება ჩაითვლება თუ არა ტრავმულად, დამოკიდებულია კულტურულ განსხვავებებზე (ასევე დროის მიხედვით), ვინაიდან განსხვავდება ტრავმული რეაქციების გამოხატვის გზებიც. ტრავმის, კულტურისა და საგამომიებო მოქმედების ფარგლებში დაკითხვის/გამოკითხვის შესანიშნავი მიმოხილვა, იხ. Vredeveltd et al., 2023.

ხოლო ხანგრძლივად სტრესის ქვეშ ყოფნა აზიანებს სხვა მენტალურ და კოგნიტიურ შესაძლებლობებსაც.

დაკითხვა/გამოკითხვა ტრავმულ გამოცდილებებთან დაკავშირებით



ტრავმულმა გამოცდილებებმა შეიძლება თავი იჩინოს სხვადასხვა გზით საგამომიებო მოქმედების ფარგლებში ჩატარებული დაკითხვისას. ნეგატიური გამოცდილებების დამახსოვრებისა და აღწერის ფორმა დაკავშირებულია პირის კულტურულ და სხვადასხვა წარმომავლობასთან.

მსხვერპლისთვის შესაძლებელია რთული იყოს ტრავმული ან განსაკუთრებით სტრესული გამოცდილებების გახსენება და მათზე საუბარი. ასევე სტანდარტულად დაფიქსირებულია, რომ ადამიანებმა ასეთი გამოცდილებით შესაძლებელია მოგვაწოდონ ნაკლებად დეტალური და თანმიმდევრული ჩვენებები.¹²

თუმცა, არსებობს გზები, რომ გავზარდოთ მსხვერპლისა და მოწმისგან სტრესულ მოვლენებზე დეტალური ჩვენებების მიღების ალბათობა. **დრო, მშვიდი ატმოსფერო და ნდობა** არის ის პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს მაქსიმალურად სრული ჩვენებების მიღებას. ასევე რეკომენდებულია, რომ **ყურადღება იქნას გამახვილებული ახლო ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე** და ასევე, **ფიზიკურ გარემოზე** დაკითხვის/გამოკითხვის მიზნისთვის. სტრესული გარემო მნიშვნელოვნად ამცირებს მოვლენების სრულყოფილად გახსენების შესაძლებლობას, განსაკუთრებით კი მაშინ როდესაც ისმება სკეპტიკური ან მიმანიშნებელი შეკითხვები.

კულტურა და მეხსიერება

რა გვახსოვს

საგამომიებო მოქმედების ფარგლებში ჩატარებული დაკითხვების/გამოკითხვების ძირითადი მიზანია მსხვერპლისა და მოწმისგან მიღებული ინფორმაციის შეგროვება და შეფასება, მათი გამოცდილებების, მოგონებებისა და აღქმის, ანუ ე.წ. ავტობიოგრაფიული მოგონებების შესახებ. ის, რაც შესაძლებელია რომ გვახსოვდეს დამოკიდებულია კონტექსტზე, ოჯახზე, განათლებაზე, კულტურულ წარმომავლობაზე, ემოციურ მდგომარეობაზე, გასული დროის მონაკვეთზე, სოციალურ ურთიერთობებზე და სხვ.¹³ ასევე კულტურას უკავშირდება ისიც, თუ როგორ გაიგებენ დამკითხველები ჩვენებებს, მათ შორის ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციას.¹⁴ აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იქნას როგორც დაკითხვისას, ასევე ჩვენებების შეფასებისას.

ლიტერატურაში, ტრადიციულად, გამოყოფენ კოლექტივისტურ და ინდივიდუალისტურ კულტურას.¹⁵ ბოლოდროინდელი კვლევებით დადგინდა, რომ საგამომიებო მოქმედებების ფარგლებში წარმოებული დაკითხვების/გამოკითხვების ბევრი ასპექტი ნამდვილად კულტურასთან არის დაკავშირებული და შესაბამისად, ძალიან

¹² Vredeveltdt et al, 2023; Herlihy et al, 2002

¹³ Nelson, 2003

¹⁴ Elfenbein and Ambady, 2002; Laukka & Elfenbein, 2021

¹⁵ Vredeveltdt et al, 2023, ამ ნაშრომში მოცემული კომენტარების მიხედვით ძალიან სწორხაზოვანი კულტურული დაყოფის მცდელობა შეიძლება ზედმეტად გამარტივება იყოს, ვინაიდან ქვეყნებსა და კულტურებში არის კიდევ ქვე-კულტურები და მრავალი განსხვავებები.

მნიშვნელოვანია გამომძიებლებისთვის იმის ცოდნა, თუ როგორ შეიძლება წარმოჩნდეს კულტურული განსხვავებები.¹⁶ მაგალითად, ადამიანები, რომლებიც წარმოადგენენ ისეთ "კოლექტივისტურ" კულტურას, როგორც არის, მაგალითად, არაბული ქვეყნები ან სუბ-საჰარის აფრიკა, ჩვეულებრივ დაკითხვისას/გამოკითხვისას ნაკლებ დეტალებს ამბობენ, ვიდრე ადამიანები, "ინდივიდუალისტური" კულტურიდან, მაგალითად როგორც არის დასავლეთის ქვეყნები. "ინდივიდუალისტური" კულტურის წარმომადგენელ დამკითხველს ამ დროს შეიძლება შეექმნას შთაბეჭდილება, რომ ჩვენება არათანმიმდევრულია.¹⁷ გარდა ამისა, ზოგიერთ კულტურაში შესაძლებელია ნაკლებად მნიშვნელოვანი იყოს ვინ იყო კონკრეტული მოვლენის დამკვირვებელი. მაგალითად, ადამიანმა შესაძლებელია მეგობრების ან ოჯახის წევრების გამოცდილებები აღწეროს ისე, თითქოს თავად მან გამოსცა და მკაფიოდ არ ჩამოაყალიბოს ვის შემთხვა კონკრეტული ფაქტი ან ვინ იყო შემთხვევის მოწმე. ასეთი რამ შემჩნეული და განხილული იქნა რამდენიმე საერთაშორისო სისხლის სამართლის გამოძიებაში¹⁸.

უნდა აღინიშნოს, რომ კულტურული დაყოფა არ უნდა იყოს ზედმეტად გამარტივებული და არსებობს ბევრი ქვე-კულტურა და განსხვავებები ქვეყნებსა და კულტურებში, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანებზე, მათ მიერ ჩვენების მიცემისას.¹⁹ გამომძიებლებს ეძლევათ რეკომენდაცია, რომ შეაგროვონ ინფორმაცია დასაკითხი პირების წარმომავლობის შესახებ, რათა გააზრებული ჰქონდეთ კულტურული საკითხები, რომელთაც შეიძლება გავლენა იქონიონ კომუნიკაციაზე.

წერა-კითხვის ცოდნა

დადგენილია, რომ გლობალურად, 15-24 წლის ახალგაზრდების 8%-მა არ იცის წერა-კითხვა²⁰. წერა-კითხვის უცოდინრობა ნეგატიურად მოქმედებს შეხედულებების, აზრის, გამოცდილებისა და ემოციების გადმოცემის უნარზე. წერა-კითხვის უცოდინარმა ადამიანებმა ასევე შესაძლებელია უფრო ნაკლები დეტალი მოგვაწოდონ ჩვენებებში. ამის გამო ისინი შესაძლებელია ნაკლებად სარწმუნოდ ჩაითვალოს, ვინაიდან ბევრ ქვეყანაში დეტალების რაოდენობა განიხილება დამაჯერებლობის ინდიკატორად.



დაკითხვები სხვადასხვა კულტურულ გარემოში

კულტურისა და მეხსიერების კვლევის საფუძველზე დამკითხველებს ეძლევათ რეკომენდაცია:

- მოერიდონ კულტურულად მიკერძოებულ მოლოდინებზე დაფუძნებული შეკითხვების დასმას ("ყველას ახსოვს თავისი საიუბილეო თარიღი").
- ყურადღება გაამახვილონ შეკითხვებზე, რომლებიც რელევანტურია დასაკითხი პირისთვის.
- მოერიდონ ზედმეტად სპეციფიკურ შეკითხვებს, გარდა იმ შემთხვევისა თუ ისინი მიუთითებენ თავად დასაკითხი პირის მიერ მანამდე ნათქვამ

¹⁶ See Hope et al. (2021).

¹⁷ Graham et al., 2014; Khan & Haque, 2022; Herlihy et al., 2012

¹⁸ Vredeveltd et al., 2023.

¹⁹ Vredeveltd et al, 2023

²⁰ <https://en.unesco.org/sites/default/files/ild-2021-fact-sheet.pdf>

ფაქტებზე და აღნიშნულთან დაკავშირებით სურთ დამატებითი ინფორმაციის მიღება.

- მოვლენათა ქრონოლოგიის გასარკვევად რეკომენდებულია კონკრეტული შეკითხვების დასმა პირველი და ბოლო შემთხვევების თაობაზე.

დროის აღქმა

ადამიანებს, ზოგადად, აქვთ დროის შეფასების პრობლემა. ჩვენთვის რთულია შევასოთ რამდენ ხანს გრძელდებოდა კონკრეტული ინტერაქცია და ასევე, განვსაზღვროთ კონკრეტული თარიღი და საათი.

დასავლურ საზოგადოებებში მიჩვეული ვართ, კალენდარზე, საათებსა და სხვა საზომ საშუალებებზე დაყრდნობას, რაც გვეხმარება დროის გასვლის დაკვირვებასა და ჩანიშვნაში. დაბადებიდან მოყოლებული მოქალაქეთა ცხოვრება იზომება და ცხოვრების ბევრი ისეთი ასპექტით, როგორცაა განათლება და სხვადასხვა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დაბრკოლებები, რომლებიც ჩვენს ცხოვრებაში ჩნდება ქრონოლოგიური ასაკის მიხედვით, რაც გვიადვილებს, მაგალითად "დამახსოვრებას" ან უფრო სწორად, შეფასებას თუ რამდენი წლის ვიყავით, როდესაც კონკრეტული მოვლენები ხდებოდა. თუმცა, ჩვენ შესაძლებელია ამ კულტურული ინსტრუმენტების გარეშე ძალიან გაგვიჭირდეს იმის გახსენება რომელ წელს მოხდა ესა თუ ის ძალიან დასამახსოვრებელი მოვლენა.

სხვადასხვა კულტურულ გარემოში მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება რომ არსებობს ბევრი კულტურა, სადაც კონკრეტული თარიღები ნაკლებად მნიშვნელოვანია და შესაბამისად, ნაკლებად დასამახსოვრებელი. მაგალითად, გაერთიანებულმა ერებმა დაადგინა, რომ ყოველი მეოთხე ბავშვი მსოფლიოში არარეგისტრირებულია.²¹ ზოგიერთ სისხლის სამართლის თუ სხვა საქმეში იმ ფაქტმა რომ ზოგიერთმა მშობელმა მიუთითა, რომ არ იცოდა თავისი შვილის დაბადების წელი და თარიღი, გამოიწვია მნიშვნელოვანი გაუგებრობა. არსებობს რისკი, რომ დასავლური ნორმებით გაზომვისას, ზემოაღნიშნული ინფორმაციის არქონა შეიძლება მიღებული იქნას როგორც იმის ნიშანი, რომ დასაკითხი პირი არ არის სანდო. სისხლის სამართლის საქმის გამოძიება ასევე შეიძლება შეფერხდეს, თუ დროსთან დაკავშირებული დეტალები მნიშვნელოვანია ბრალდების წარსადგენად.

შეკითხვები, რომელთაც ჩვენ ვსვამთ მოვლენების დროის განსაზღვრასთან დაკავშირებით, შეიძლება ეყრდნობოდეს კულტურულად მიკერძოებულ აღქმას იმის თაობაზე, თუ რისი დამახსოვრება და გადმოცემა "უნდა" შეეძლოს დასაკითხ პირს, რამაც თავის მხრივ, შესაძლებელია, შეამციროს დასაკითხი პირის მიერ დამაჯერებელი პასუხის გაცემის შესაძლებლობა. აღნიშნულის გამო, ასევე შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ისეთი კომუნიკაცია, რომელიც ხელს შეუშლის დასაკითხ პირს იმ ინფორმაციის მოწოდებაში რაც რეალურად შეეძლო მოეწოდებინა და რაც თავისმხრივ, ზრდის რისკს რომ ვერ იქნება მიღებული სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

დაკითხვისას მოვლენების ქრონოლოგიის შესწავლა



ნებისმიერ ადამიანს - ბავშვებს, ახალგაზრდებსა თუ ზრდასრულებს, მიუხედავად კულტურული წარმომავლობისა და კონტექსტისა, შესაძლებელია პრობლემა შეექმნას ისეთ შეკითხვასთან დაკავშირებით, როგორცაა "რომელ დღეს/თვეში/წელს მოხდა ეს ამბავი". ასეთ შემთხვევაში, სასურველია

²¹ <https://news.un.org/en/story/2019/12/1053211>

დაუსვათ შეკითხვა იმ გარემოებების შესახებ რომელიც თან ახლდა კონკრეტულ შემთხვევას და მოსთხოვოთ განსაზღვროს "როდის".

მაგალითად: ვინ იყო ბავშვთან ამ დროს? იყვნენ თუ არა პატარა დედმამიშვილები ამ დროისათვის უკვე დაბადებულები? ყოველგვარი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ისეთ გარემოებებს, როგორცაა, დღესასწაულები, ამინდი, ფიზიკური გარემო, საკვები და თამაში, შესაძლებელია დაგვეხმაროს მოვლენის დადგომის დროის დადგენაში და ნაკლებად შეცდომაში შემყვანი იქნება, ვიდრე პირდაპირი შეკითხვა (მაგალითად: " ეს ერთი წლის წინ იყო თუ 5 წელზე ნაკლები დროა გასული თუ უფრო ათ წელს უახლოვდება?").

ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვის დაკითხვის/გამოკითხვის მნიშვნელოვანი ასპექტები

ბავშვების ტრეფიკინგის განმარტება

პალერმოს ოქმის თანახმად²², ადამიანების, მათ შორის ბავშვების ტრეფიკინგი განმარტება შემდეგნაირად:

(ა) "ადამიანების ტრეფიკინგი" ნიშნავს ადამიანთა გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ან მიღებას, მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწიფობის ბოროტად გამოყენებით ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი, ამ ადამიანთა ექსპლუატაციის მიზნით. ექსპლუატაცია, როგორც მინიმუმ, გულისხმობს სხვათა პროსტიტუციის ექსპლუატაციას ან სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა ფორმას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას, მონურ შრომას ან ორგანოთა გადანერგვას.

(ბ) თუ გამოყენებულია ამ მუხლის (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საშუალება, ადამიანთა ტრეფიკინგის მსხვერპლის თანხმობას აღნიშნული ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს.

(ც) ბავშვის გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, შეფარება ან მიღება ექსპლუატაციის მიზნით, უნდა ჩაითვალოს „ტრეფიკინგად“ მაშინაც კი, როდესაც გამოყენებული არ ყოფილა ამ მუხლის (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საშუალება.

(დ) „ბავშვი“ გულისხმობს ნებისმიერ ადამიანს 18 წლის ასაკამდე.

"იუნისეფი" (UNICEF) და შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) მიუთითებენ, რომ ბავშვთა ტრეფიკინგის ქვემოთ მოცემული განსაზღვრება ფართოდ აღიარებულია და ამავდროულად, ლაკონურია:

"ბავშვის გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, შეფარება ან მიღება, ექსპლუატაციის მიზნით".

არსებობს ბავშვთა ტრეფიკინგის ბევრი ფორმა. ტრეფიკინგის ხორციელდება სხვადასხვა მიზნებით, მათ შორისაა სექსუალური ექსპლუატაცია, შრომითი ექსპლუატაცია, იძულებითი ქორწინება, კრიმინალურ საქმიანობაში ჩართვა და სხვ.

²² გაერთიანებული ერები, 2000

ტრეფიკინგი როგორც კონტინუუმი

ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს კონტინუუმში ანუ განგრძობად და ზოგჯერ, წელა განვითარებად პროცესში და არ იყოს წარმოდგენილი მკაფიო, კონკრეტული მოქმედების სახით. ²³.

ძალადობას ადგილი აქვს ინტიმურ ურთიერთობებში. მაგალითად შესაძლებელია შედარებით მსუბუქი ფსიქოლოგიური ძალადობიდან ის გადაიზარდოს სასტიკ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობასა და კონტროლში, როდესაც მსხვერპლს ერთმევა ამ გარემოს გარეთ ადამიანებთან ყოველგვარი კომუნიკაციის შესაძლებლობა.

ტრეფიკინგის ტრანსსასაზღვრო შემთხვევებში მსხვერპლს შეიძლება თანხმობა ჰქონდეს განცხადებული სხვა ქვეყანაში მუშაობაზე. იძულებისა და ძალადობის ციკლი ამ შემთხვევებში შეიძლება დაწყებული იყოს საბოლოო დანიშნულების ქვეყანაში. ²⁴ ამან შესაძლებელია ბევრნაირი გავლენა მოახდინოს მსხვერპლზე და მის რეაქციებზე; თავდაპირველად ურთიერთობა შესაძლებელია იყოს ახლო და საკამოდ კარგი და შემდგომ თანდათან გადაიზარდოს აშკარად სასტიკ და ნეგატიურ ურთიერთობაში. ასეთ სიტუაციებში მსხვერპლმა ავტომატურად და გაუცნობიერებლად შესაძლებელია მოიგონოს ახსნა დამნაშავეს ქცევისა და მისი ნეგატიური შედეგებისთვის.

ძალადობის კონტინუუმის გაგების კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ პირი, რომელიც იყო ძალადობის ან ძალადობის მუქარის სამიზნე, შესაძლებელია მცირე შეხსენების გამოც კი კვლავ აღმოჩნდეს შიშის ქვეშ, რაც იწვევს მათ მორჩილებას ტრეფიკიორების მიმართ. გარედან შემფასებლის პერსპექტივიდან კონკრეტული მოქმედებები კონკრეტულ მომენტში შესაძლებელია უმნიშვნელო აღმოჩნდეს, თუ არ იქნა დანახული და გათვალისწინებული უფრო ფართო ურთიერთკავშირის სურათი და ურთიერთობის განვითარება. ამრიგად, კონკრეტული ხეების დანახვის ნაცვლად, უნდა შევეცადოთ, რომ დავინახოთ ტყე ანუ ცალკეული მომენტებისა და მოქმედებების ნაცვლად უნდა დავინახოთ კონტინუუმი.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული ტექნიკა და დაკითხვის/გამოკითხვის პროტოკოლი

კვლევების არარსებობის გამო, ცოტა რამ არის ცნობილი ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლი ბავშვების დაკითხვის/გამოკითხვის არსებული ტექნიკისა და პროტოკოლის ეფექტურობის შესახებ.

ტრეფიკინგის მსხვერპლის დაკითხვის/გამოკითხვის დინამიკა შეიძლება მნიშვნელოვანად განსხვავდებოდეს სხვა ტიპის სისხლის სამართლის საქმეებზე ბავშვების დაკითხვისგან/გამოკითხვისგან და შესაძლებელია, მოითხოვდეს უფრო ფრთხილ მიდგომას დაგეგმვისადმი, ასევე დაკითხვის/გამოკითხვის სხვადასხვა გამოსაყენებელი ფორმებისა და ეტაპების უფრო სიღრმისეულად შესწავლას. ტრეფიკინგის მსხვერპლთა (წებისმიერ ასაკის) დაკითხვის/გამოკითხვის შესახებ ლიტერატურის სისტემური

²³ Liz, 1988. კონტინუუმის კონცეფცია ქალთა მიმართ ძალადობის განხილვისას პირველად იქნა გამოყენებული ლიზ კელის მისერ (1988). იგი ამბობდა, რომ ქალთა წინააღმდეგ მიმართული სექსუალური ძალადობა შეიძლება კონცეპტუალიზებული იქნას როგორც კონტინუუმი, რომელიც მოიცავს როგორც აგრესიას ფიზიკური ძალადობის გარეშე, ასევე ძალადობის სხვა უფრო სერიოზულ ფორმებს.

²⁴ Goodey, 2004

შემოწმების პირველადი შედეგებით დადგინდა, რომ საჭიროა სასწრაფოდ სპეციალური მსხვერპლზე ორიენტირებული დაკითხვის პროტოკოლის შემუშავება.²⁵

NICHHD-R-ის (ბავშვთა ჯანმრთელობისა და ადამიანის განვითარების ეროვნული ინსტიტუტი) პრინციპები

ზოგადი რეკომენდაციის თანახმად ბავშვების დამკითხველები უნდა იცავდნენ NICHHD-R-ის დაკითხვის პროტოკოლის ან რაიმე მსგავს მტკიცებულებებზე დაფუძნებული დაკითხვის/გამოკითხვის პროტოკოლების პრინციპებს, როგორც ეს მოცემულია მაგალითად, ფსიქოლოგიისა და სამართლის ევროპული ასოციაციის მიერ გამოცემულ თეთრ ფურცელში, საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში ბავშვების დაკითხვის/გამოკითხვის შესახებ²⁶. დაკითხვის/გამოკითხვის ეტაპების მიმოხილვა მოცემულია ამ სახელმძღვანელოს დანართში (ბავშვის დაკითხვის ადაპტირება ბავშვების წინააღმდეგ მიმართული ტრეფიკინგისა და მასთან დაკავშირებული დანაშაულების გამოძიებისას).

ფიგურა/ყუთი: საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში ბავშვების დაკითხვის/გამოკითხვის ძირითადი პრინციპები

- გამოიყენეთ ღია შეხსენებები დასაზუსტებელ შეკითხვებთან ერთად.
- მოერიდეთ იმის ინტერპრეტირებას, თუ როგორ შეიძლებოდა ეგრძნო თავი ბავშვს ან რა გრძნობები შეიძლებოდა ჰქონოდა სავარაუდო მოძალადის მიმართ.
- მოერიდეთ გამოცნობას, რაზე შეიძლებოდა ბავშვს გაემახვილებინა ყურადღება და რა "უნდა" ახსოვდეს.
- გამოავლინეთ ემპათია აქტიური მოსმენის მეშვეობით.

იძულებითი დაკითხვის პრაქტიკის შეფასება

შვედეთში ჩატარდა კვლევა²⁷, რომლის ფარგლებშიც გაანალიზებული იქნა პოლიციის მიერ გამოყენებული ტექნიკა ახალგაზრდა გოგონების სექსუალური ტრეფიკინგის სავარაუდო შემთხვევების გამოძიებისას. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამოძიების ფარგლებში ჩატარებული დაკითხვები იყო საკმაოდ მიმანიშნებელი და უფრო მეტად შეკითხვების დასმაზე იყო ორიენტირებული, ვიდრე დასაკითხი/გამოსაკითხი პირისგან ინფორმაციის მიღებაზე. არ არის გასაკვირი, რომ ეს დაკითხვები/გამოკითხვები არ იყო წარმატებული და გამოძიების ფარგლებში წარმოებული დაკითხვის მთავარი მიზნის მიღწევას - მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებას, ვერ უზრუნველყოფდა. მსხვერპლი თავიდან ირიდებდა მთავარ თემებს, როგორცაა კომერციული სექსი და მათი ურთიერთობა დამნაშავეებთან. რაც უფრო მეტად იყენებდა პოლიცია იძულებითი დაკითხვის ტექნიკას, მაგალითად, მსხვერპლისთვის დაძალებას, რომ ელაპარაკა, მით უფრო მეტად ორჭოფობდნენ ახალგაზრდა დასაკითხი პირები.

²⁵ Hoogeystein & Taniguchi (forthcoming).
²⁶ Korkman et al., 2024
²⁷ Lindholm et al 2014; 2015

ტრეფიკინგის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული გამოწვევები

ბავშვების წინააღმდეგ მიმართული ტრეფიკინგის მსხვერპლის იდენტიფიცირებისთვის ხშირად აუცილებელია, რომ მართლმსაჯულების სისტემამ დაინახოს სრული სურათი და ბავშვის მდგომარეობა. როგორც უკვე აღინიშნა, ერთ-ერთი სავარაუდო ფაქტორი, რაც ამ პროცესს ართულებს, არის მართლმსაჯულების სისტემისთვის დამახასიათებელი ტრადიცია, რომ ეძებოს უნიკალური, კონკრეტული მოქმედებები იმის ნაცვლად, რომ დააკვირდეს მოწყვლადი ბავშვის მდგომარეობის ესკალაციის კონტინუუმს.²⁸ "სრული სურათის" მისაღებად დრო და ძალისხმევა უნდა დაეთმოს გულისხმიერი ურთიერთობის ჩამოყალიბებას, ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და სიტუაციას დასაკითხი ოთახის გარეთ. ასევე, გააზრებული უნდა იქნას როგორ მოხვდა ბავშვი ამ სიტუაციაში.

მსხვერპლს ხშირად აქვს სხვადასხვა მოწყვლადი მხარე და შესაძლებელია, ძალიან განსხვავდებოდეს "სრულყოფილი მსხვერპლის" იმიჯისგან. აღნიშნული დამახასიათებელია იმ შემთხვევებისთვის, როდესაც უფლებამოსილი ორგანოები არ თვლიან ბავშვებს მსხვერპლად ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც მათი საკუთარი მშობლები არიან დამნაშავეები. ერთ-ერთ საქმეზე ფინეთში 2021 წელს²⁹, 14-15 წლის ბიჭს მშობლებმა სთხოვეს ნარკოტიკებით ვაჭრობაში დახმარება. ის იყო ერთადერთი შვილი, რომელიც მარტო ცხოვრობდა თავის მშობლებთან სხვა ქვეყნიდან გადასვლის შემდეგ და არ ჰქონდა არანაირი სხვა სოციალური მხარდაჭერა. ბიჭი დამნაშავედ იქნა ცნობილი ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში, რაიონული სასამართლოს მიერ. ექსპერტის ჩვენების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ იგი გაანთავისუფლა, რადგან ჩათვალა, რომ მას არ ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო დამოუკიდებელი გადაწყვეტილება სისხლის სამართლის დანაშაულში მონაწილეობის შესახებ, ვინაიდან ის დამოკიდებული იყო მშობლებზე.

ეს შემთხვევა ჰგავს კრიმინალურ დაჯგუფებებში ბავშვების ჩართვას ან გატაცებას ბავშვების ჯარისკაცებად გამოყენებას. უბრალოდ ბავშვის ასაკის გარკვევამ (თუ მიღწეულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს) და მოქმედებების გამოძიებამ შესაძლებელია მიგვიყვანოს იურიდიულად ლოგიკურ გადაწყვეტილებამდე, რომ დაისაჯოს ბავშვი, მაშინ როდესაც ბავშვის განვითარებისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის, დამნაშავესთან (დამნაშავეებთან) ურთიერთობის და ფსიქოლოგიური იძულებისა და კონტროლის შესაძლო ელემენტების შესწავლამ შეიძლება მიგვიყვანოს ბავშვის მსხვერპლად აღიარებამდე.

ექვმიტანილების მსხვერპლის მსგავსად დაკითხვამ შესაძლებელია გააუმჯობესოს იდენტიფიცირება

ახალგაზრდა *ექვმიტანილებს* უნდა მოვუსმინოთ სენსიტიურად და მივცეთ საშუალება გაგვიზიარონ თავიანთი გამოცდილება ნდობისა და პატივისცემის პირობებში. ამ გზით უფლებამოსილ პირებს ექნებათ უკეთესი შესაძლებლობა, რომ ასევე მოახდინონ მსხვერპლის იდენტიფიცირება, რომელიც ტრადიციულად შესაძლებელია, რომ იდენტიფიცირებული იქნას მხოლოდ დამნაშავედ.

²⁸ "ჩვენ არ ვუყურებთ ტყეს ხეების დასანახად", - ასე ჩამოაყალიბა აზრი ერთმა პოლიციის ოფიცერმა, რომელიც სპეციალიზებული იყო მცირეწლოვანთა ტრეფიკინგის საქმეების გამოძიებაზე".

²⁹ Toivonen et al., 2022

იგივენაირად, პატივისცემის გამომხატველი დამოკიდებულება ეჭვმიტანილებთან და ღია შეკითხვები უფრო მეტად ხელს შეუწყობს ჭეშმარიტ და არა ყალბ აღიარებას. არსებობს გარკვეული კვლევა ზრდასრული ეჭვმიტანილების ეფექტური საგამომიებო დაკითხვის მეთოდების თაობაზე, მაგრამ თითქმის საერთოდ არ არის გამოკვლეული ახალგაზრდა ეჭვმიტანილების შემთხვევა. არსებითად ყველა ტიპის საგამომიებო დაკითხვასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელი ზოგადი პრინციპების თაობაზე იხ. ეფექტური დაკითხვის შესახებ მენდუზის პრინციპები,³⁰ მოწონებული გაერთიანებული ერების მიერ.

რატომ არ სურს ბევრ მსხვერპლს, რომ მოყვეს რა მოხდა

ტრეფიკინგთან დაკავშირებულ საქმეებში ხშირად ვხვდებით მსხვერპლს, რომელსაც არ სურს საუბარი, ორჭოფობს ან ზოგჯერ მტრულადაც კი არის განწყობილი. ამიტომ დამკითხველს განსაკუთრებული მოქმედება მოეთხოვება.

ზოგადად ტრეფიკინგის მსხვერპლები, მათ შორის ბავშვები, შეიძლება წინააღმდეგი იყვნენ გამჟღავნონ ინფორმაცია რამდენიმე მიზეზის გამო, რომელთა შორისაა თანამდებობის პირების მიმართ სკეპტიკური განწყობა ან მათთან დაკავშირებული ცუდი გამოცდილება, წარსულში მათი უფლებების დარღვევა ან უგულვებლყოფა; დამნაშავესთან კავშირი ან/და მასზე დამოკიდებულება, ასევე, შიში რომ საქმე შეიძლება უფრო უარესად შემობრუნდეს, ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში.³¹ მაგალითად, ბავშვ მსხვერპლთა უმეტესობას, რომლის წინააღმდეგაც ადგილი ჰქონდა ტრეფიკინგს სექსუალური მიზნით, ხშირად აქვთ წარსულში სოციალური სამსახურის წარმომადგენლებისგან ცუდი მოპყრობის და არაერთი დაკონტაქტების გამოცდილება. ამ ნეგატიურ გამოცდილებაში შეიძლება შედიოდეს მშობლებისგან ჩამოშორება და თავშესაფარში მოთავსება.³²

ბევრ შემთხვევაში, მსხვერპლის მიმართ ცუდ მოპყრობას ადგილი ჰქონდა ტრეფიკინგის დანაშაულის დაწყებამდე.

ზოგიერთ შემთხვევაში, მათ შორის იძულებითი ქორწინებისას, როდესაც საქმე ეხება ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეგობრებს, ნაცნობებს ან პარტნიორებს, ბავშვებს შეიძლება არ სურდეთ თავიანთი გამოცდილების გამჟღავნება იმის შიშით, რომ ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ახლობელ ადამიანზე. მსხვერპლს შეიძლება ემინოდეს სტიგმების ან სრცხვენოდეს საკუთარი თავის, ოჯახის ან საზოგადოების, მაშინ, როდესაც დამნაშავეების დასჯის ალბათობა მცირეა.³³

იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვების მოტყუებით ან იძულებით ჩართვა ხდება კრიმინალურ საქმიანობაში, სხვადასხვა სისუსტისა და უფროსებისგან საიმედო მხარდაჭერის არარსებობის გამო, მათ შეიძლება ჩამოუყალიბდეთ განცდა რომ არავის სჭირდება ისინი, რასაც დამნაშავეები იყენებენ იმისათვის, რომ ბავშვებს მათ მიმართ გაუჩნდეს ემოციური დამოკიდებულება. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს ინფორმაციის გამჟღავნებაზე უარი, იმ გარემოებებთან დაკავშირებით რომელშიც ხდება მათ მიმართ ძალადობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ მართლმსაჯულების სისტემის მიერ ისინი მიჩნეულები არიან "კრიმინალებად". მათ შესაძლებელია ჰქონდეთ

³⁰ Mendes principles, 2021

³¹ West, 2016 : <http://dx.doi.org/10.11114/ijsss.v4i5.1407> ; Lavoie et al., 2019

³² Franchino-Olsen 2021; Somer and Szwarcborg 2001

³³ <https://www.uitgeverijparis.nl/nl/reader/204793/1001413551>

საფუძველი, რომ ემინოდეთ შედეგების³⁴. ასევე შესაძლებელია, რომ ბავშვები არ თვლიდნენ საკუთარ თავს მოწყვლად ან ვიქტიმიზებულად, მაგრამ შესაძლებელია მაინც სურდეთ კრიმინალურ საქმიანობაში მონაწილეობა სხვა საჭიროებებიდან გამომდინარე, რომელსაც უკმაყოფილებს ეს ჯგუფი. ასეთი შეიძლება იყოს კუთვნილება, სტატუსი და სავარაუდო ფინანსური სარგებელი.

გარდა ამისა, ბავშვებს შეიძლება სრცხვენოდეთ მათი ასეთი მონაწილეობის. როდესაც მსხვერპლი აქტიურად და კონსენსუალურად მონაწილეობს თავიდანვე ამ მოქმედებებში, საკუთარი დანაშაულისა და სირცხვილის გრძნობის გამო, შეიძლება უარი განაცხადოს გარემოებების შესახებ საუბარზე თანამდებობის პირებთან.³⁵

კიდევ ერთი პრობლემატური ფაქტორია ის, რომ მსხვერპლმა შესაძლებელია არსებული ვითარება გაიაზროს მისი შექმნიდან თვეების ან უფრო მეტი ხნის გასვლის შემდეგ. შემდგომში კი შესაძლებელია გართულდეს მტკიცებულებების შეგროვება, განსაკუთრებით თუ ბავშვს ნებაყოფლობით არ სურს აღიარება.

მეორე მხრივ, შესაბამისი თანამდებობის პირებს შეიძლება შეექმნათ პრობლემა ახალგაზრდა მსხვერპლის მხრიდან პასუხებზე თავის არიდების გააზრებასთან მიმართებაში და გაზარდონ ზეწოლა მათზე, რამაც შესაძლებელია, გამოიწვიოს მსხვერპლის მეტი უნდობლობა ამ თანამდებობის პირთა მიმართ.³⁶ როდესაც ახალგაზრდა თინეიჯერებთან შეხვედრა ხდება საზღვარზე, თანამდებობის პირები შეიძლება გალიზიანდნენ მათი ყოყმანის გამო, რომ ისაუბრონ არსებული გარემოებების შესახებ და ამიტომ, მიმართონ იძულებითი დაკითხვის სტილს, რომელიც უფრო დააბრკოლებს ვიდრე დაეხმარება ბავშვებს ინფორმაციის გადმოცემაში.

მაგალითი: ონლაინ სექსუალური ძალადობა

ონლაინ სექსუალური ძალადობის შემთხვევი განსხვავდება სექსუალური ძალადობის ბრალდების შედარებით ტრადიციული ფორმებისგან, ვინაიდან ხშირად წარმოდგენილია ძალადობის მტკიცებულებები. ამ შემთხვევაში საჭიროა სრულიად განსხვავებული წერტილის პოვნა გამოძიებისა და დაკითხვის დასაწყებად.

გამოძიებებს, რომლებიც იწყება დოკუმენტირებული ვიდეოების, სურათებისა და ე.წ. "ჩათის ლოგების" საფუძველზე, როდესაც დადგენილია, რომ დასაკითხი/გამოსაკითხი ბავშვი წარმოადგენს პირს, რომელიც ამ მასალებში ფიგურირებს, აქვს ე.წ. "ძირითადი ჭეშმარიტება". ასეთ შემთხვევებში შეკითხვა იმაში მდგომარეობს ბავშვის მიმართ ამ გზით განხორციელდა თუ არა ძალადობა. გამოძიების ფარგლებში უნდა მოხდეს დამატებითი ინფორმაციის შეგროვება ძალადობის შესახებ. მაგალითად, სხვა მონაწილე პირების შესახებ, ისეთი შემთხვევების შესახებ, რომელთა დოკუმენტირებაც არ მომხდარა და სხვ. ამრიგად, საჭიროა დაკითხვის სტრატეგიის შესაბამისად მოდიფიცირებაც.

ბავშვები, რომელთაც ეს სიტუაცია ეხება, ფაქტობრივად შესაძლებელია ვერც კი აცნობიერებდნენ ან ითვალისწინებდნენ, რომ ისინი არიან ძალადობის მსხვერპლი. ხშირ შემთხვევაში დამნაშავემ შესაძლებელია თავი წარადგინოს ბავშვად ან თანატოლად და

³⁴ Home Office, 2010. ამ ანგარიშში ასევე გამახვილებულია ყურადღება იმ შესაძლო რისკების იდენტიფიცირების საჭიროებაზე, რომლის წინაშეც შესაძლებელია ბავშვი აღმოჩნდეს კრიმინალური საქმიანობისგან თავის დაღწევის მცდელობის შემთხვევაში.

³⁵ Goodey 2004

³⁶ Lavoie et al 2019

ბავშვს შეიძლება ეგონოს, რომ მას აქვს ურთიერთობა დამნაშავესთან. ზოგიერთ შემთხვევაში, მასალების აღმოჩენა შესაძლებელია ისეთი დაგვიანებული იყოს, რომ ბავშვებს გაუჭირდეთ გარემოებების გახსენება, განსაკუთრებით ნაკლებად მძიმე შემთხვევებში.

მნიშვნელოვანია, დამკითხველებმა გაითვალისწინონ, რომ ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ვარაუდისგან განსხვავებით, რომ ონლაინ ბავშვზე სექსუალურ ძალადობას მოჰყვებოდა ნაკლებად მძიმე შედეგები ბავშვისთვის, ვიდრე ინტერნეტ სივრცის გარეთ ჩადენილ დანაშაულს, კვლევებმა აჩვენა, რომ შედეგები შესაძლებელია იყოს ისეთივე მძიმე და უარესიც კი, ვინაიდან მსხვერპლი ბავშვისთვის დამატებითი ტვირთია იმის ცოდნა, რომ სექსუალური გამოსახულებები ან ვიდეოები მათი მონაწილეობით ცირკულარებს ინტერნეტ სივრცეში.³⁷..

ასევე შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის პროცესი შესაძლებელია ზოგჯერ უფრო საზიანო იყოს მსხვერპლი ბავშვისთვის, ვიდრე გამოსადიებელი გარემოებები. ამ კონტექსტში არსებობს ორი მნიშვნელოვანი ეთიკური პრობლემა. პირველი, თუ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები ძალადობის შესახებ, რომლებიც აშკარად მიუთითებს, რომ კონკრეტული ბავშვი იყო მსხვერპლი, ბავშვის ჩვენება არ არის აუცილებელი იმისათვის რომ შესწავლილი იქნას გარემოებები. ამრიგად, როდესაც ბავშვს შესაძლებელია მიეცეს და უნდა მიეცეს კიდევ შანსი, რომ მოუსმინონ გამოძიების ფარგლებში, მას არ უნდა მოსთხოვონ ისაუბროს იმ მოვლენებზე, რომლებზეც არსებობს სხვა მტკიცებულებები. მეორე, გამომძიებლებმა უნდა გაითვალისწინონ, რამდენად რბილად უნდა მიაწოდონ ბავშვს ინფორმაცია მასზე არსებული მასალების შესახებ, ვინაიდან მსხვერპლისთვის შესაძლებელია შოკის მომგვრელი იყოს, რომ მისი გამოსახულება და ვიდეო აქვს შესაბამის თანამდებობის პირებს და ამ მასალებს ნახვენ სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეებიც, რასაც თან ერთვის ის ფაქტიც, რომ შესაძლებელია მასალა ტრიალებდეს ინტერნეტში. გარდა ამისა, გამომძიებლებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა ბავშვებში პოპულარული აპლიკაციებისა და თამაშების შესახებ, ასევე ინფორმირებული უნდა იყვნენ იმ მტკიცებულებების შესახებ, რომლებიც შესაძლებელია საქმისთვის მნიშვნელოვანი იყოს. ეს ყველაფერი უნდა იყოს ინფორმაციის წყარო დაკითხვის დაგეგმვისა და შეკითხვების ჩამოყალიბებისთვის.


ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, რეკომენდებულია დაკითხვის ადაპტირება, განსაკუთრებით ონლაინ სექსუალური დანაშაულის გამომძიებლებისთვის. ამჟამად ხდება მისი დატესტვა რეალურ გარემოში.³⁸..

იხ. ასევე [საქმის მაგალითი](#) დანართში: ბავშვის დაკითხვის ადაპტირება ბავშვის წინააღმდეგ მიმართული ტრეფიკინგისა და მასთან დაკავშირებული სხვა დანაშაულების გამოძიებისას.


³⁷ Joleby et al

³⁸ Korkman et al., 2022. ცალკე სახელმძღვანელო მზადდება საგამომძიებო დაკითხვების თაობაზე ონლაინ სექსუალურ დანაშაულთან დაკავშირებით და გამოქვეყნდება Barnahus Network-ის მიერ 2024 წლისთვის.

დაკითხვის მომზადება, ყოყმანის გათვალისწინებით



თანამდებობის პირებს ეძლევათ რეკომენდაცია, რომ ითანამშრომლონ მსხვერპლთა მხარდამჭერ ორგანიზაციებთან, ვინაიდან ასეთმა თანამშრომლობამ შესაძლებელია ხელი შეუწყოს ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას³⁹. დამკითხველებს შეიძლება მიეცეთ რეკომენდაცია, რომ დაიწყონ მსხვერპლის წარსულის მიმოხილვით და დასაშვებ ფარგლებში შეეხონ მათ გამოცდილებას. ამასთანავე უნდა გაითვალისწინონ ამ გამოცდილებებმა როგორი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს ბავშვების ქცევაზე და მათი მხრიდან ისეთი თანამდებობის პირებთან თანამშრომლობაზე, როგორცაა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები.



ალტერნატიული ჰიპოთეზები აბსოლუტური მტკიცებულებების არარსებობისას

იმ შემთხვევებში, როდესაც არ არსებობს აბსოლუტური მტკიცებულებები (რომელიც ხშირად ლიტერატურაში მოიხსენიება როგორც ძირითადი ჭეშმარიტება) ბავშვის ვიქტიმიზაციის თაობაზე, მოვლენების აღწერის შეუძლებლობა ყოველთვის არ უნდა იქნას დაკავშირებული ყოყმანთან. არსებობს შემთხვევები, როდესაც ვარაუდები ეფუძნება ფაქტების არასწორად გაგებას ან ყალბ ბრალდებებს. ალტერნატიული ჰიპოთეზების ჩამოყალიბება უნდა მოხდეს ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით და შესწავლილი იქნას დაკითხვისა და გამოძიების ფარგლებში.

ასევე, იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს მტკიცებულებები, რომ კრიმინალური მოქმედებები ჩადენილია ბავშვის წინააღმდეგ, გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ შესაძლებელია არსებობდეს გამომძიებლისთვის ჯერ კიდევ უცნობი ბევრი სხვა გარემოება. ვარაუდების ალტერნატიული განმარტებების განხილვა და საგამომძიებო აზროვნების ღიაობა იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლებელია ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია არასრული ან შეცდომაში შემყვანი იყოს, ამცირებს ტენდენციურობის რისკს. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ გამომძიებლის ტენდენციურობამ შეიძლება გამოიწვიოს არასწორი მართლმსაჯულება.⁴⁰

ფსიქოლოგიური კონტროლი და იძულება ტრეფიკინგის კონტექსტში

ფსიქოლოგიური ძალადობა გულისხმობს მაკონტროლებელ მოქმედებას, რომლის მიზანია ერთი პირის მეორე პირის ან პირების მიმართ დაქვემდებარება ან სუბორდინაციის დადგენა სხვადასხვაგვარი მოქმედებების გამოყენებით. ეს შეიძლება მოიცავდეს მათ ფუნქციონალურ იზოლაციას მხარდამჭერი პირებისგან, ყოველდღიური საჭიროებების შეზღუდვას და ფსიქოლოგიურ ან სხვა ფორმის ძალადობის გამოყენებას. ფიზიკური ძალადობა შესაძლებელია საერთოდ არ იყოს საჭირო მსხვერპლზე კონტროლის მოსაპოვებლად. მუქარა და ისეთი გარემოს შექმნა რომ მსხვერპლმა აირჩიოს შეთავაზებული ალტერნატივებიდან ("ან ეს ან..."), ასევე ეფექტური მეთოდია იმისათვის, რომ მსხვერპლი დაემორჩილოს დამნაშავეს ნებას. იმ შემთხვევაში, როდესაც

³⁹ Lavoie et al 2019; Turkel & Tiapula, 2008

⁴⁰ Korkman et al., 2024

ფსიქოლოგიური იძულება წარმატებულია, შესაძლებელია შეიქმნას სიტუაცია, როდესაც მსხვერპლი შეიძლება სრულიად უმწეო გახდეს და დაკარგოს მოქმედების უნარი.

იზოლაცია

მსხვერპლის იზოლირება (ფუნქციონალური იზოლირება) ეფექტური გზაა მისი ტრეფიკორზე დამოკიდებულების უზრუნველსაყოფად. როდესაც შეზღუდული აქვს ურთიერთობა ყველასთან, ნებისმიერი კონტაქტი ურჩევნია სრულ უკონტაქტობას. განსაკუთრებით, უცხო ქვეყნიდან ჩამოსული მსხვერპლის იზოლირება შესაძლებელია მოძალადესთან და თუ ეს უკანასკნელი (მაგალითად შრომითი ექსპლუატაციის ან სექსუალური ტრეფიკინგის შემთხვევაში) ერთადერთი ადამიანი იქნება, ვისთანაც მსხვერპლს ექნება კომუნიკაციის საშუალება კულტურული და ენობრივი ბარიერების გამო, ის დამოკიდებულია გახდება მოძალადეზე თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში. როდესაც მოძალადე შესაძლებელია გახდეს ერთადერთი პირი, რომლის საშუალებითაც მსხვერპლი შეძლებს ინფორმაციის მიღებას გარესამყაროს შესახებ, მოძალადეს უკვე წარმოექმნება უზარმაზარი ძალაუფლება, რომ ზეგავლენა მოახდინოს მსხვერპლის შეხედულებებზე სხელმწიფო თანამდებობის პირების, პოლიციის ნდობის, დასაქმებულთა უფლებების თაობაზე, ასევე ქალთა კომერციული სექსისა და ზოგადად ქალისა თუ მსხვერპლის მიერ ჩადენილი დანაშაულის მიმდებლობასთან დაკავშირებით. ასეთი კონტროლის ზემოქმედება კარგად ჩანს მსხვერპლის მონათხრობში⁴¹:

"მე შემიძლია ეს ავხსნა როგორც მაგალითად შემთხვევა, როდესაც ძალი საბელით გაგყავთ ყოველდღე სასეირნოდ. შემდეგ ძალის გაიყვანთ და მოხსნით საბელს. ის [ძალი] აღარ გაიქცევა და აღარ გაველურდება. ის მოტრიალდება, შემოგხედავთ და იტყვის: "კარგი, ახლა რას ვაკეთებთ?" ჩვენ ნამდვილად გვეშინოდა გარესამყაროსი. მან [მოძალადემ] ჩავვიდო თავში, რომ ადამიანებს არ მოვწონდით და ისინი არ მოგვისმენდნენ."

ბავშვებს ასევე შეიძლება შეეზღუდოთ კონტაქტი სახლში ოჯახის წევრებთან, ან მათი კომუნიკაცია შეიძლება მიმდინარეობდეს მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ. მსხვერპლის სოციალურ გარემოზე სრული კონტროლის მოპოვება ასევე შეიძლება გულისხმობდეს სხვა ადამიანებთან დამოუკიდებლად ყველანაირი კომუნიკაციის შესაძლებლობის შემცირებას, მაგალითად, მსხვერპლის ტელეფონის შენახვას, სოციალური მედიის ან სხვა ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების შეზღუდვას, მათ ტრასპორტირებას სკოლაში და სხვა დაწესებულებებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი სოციალიზაციის შეზღუდვა, ასევე, ეკონომიკური დამოუკიდებლობის წართმევა.

მაგალითი: იძულებითი ქორწინება

იძულებითი ქორწინება წარმოადგენს გამოწვევას მართლმსაჯულების სისტემებისთვის, ვინაიდან ჩვეულებრივ, ამ მოვლენას ადგილი აქვს კულტურულად დაკავშირებული ტრადიციებისა და ეგრეთ წოდებული პატივსაცემი სისტემების კონტექსტში და შესაძლებელია, საჭირო გახდეს ისეთი ცოდნა, რომლის მიღებაც ჩვეულებრივ, არ არის ხელმისაწვდომი ეროვნული პოლიციის ტრენინგებზე. ⁴².. იძულებითი ქორწინების ბავშვი მსხვერპლი როგორც წესი არის ხოლმე ახალგაზრდა ადამიანი, რომელსაც აქვს იმიგრანტის

⁴¹ Quote from. Wydall & Zerk, 2021.

⁴² Miles-Johnson & Courtenay, 2021.

წარსული, ძირითად შემთხვევაში არიან გოგონები, რომლებსაც სამშობლოში აბრუნებენ ქორწინების მიზნით. არის ასევე შემთხვევები, რომლებიც შეეხება უცხოელ წყვილებს (ხშირად თავმესაფრის მაძიებლებს), რომლებიც ქვეყანაში შესვლამდე სხვაგან დაქორწინდნენ, ასევე უცხოელ მამაკაცებს, რომლებსაც აქორწინებენ არასრულწლოვან მეუღლეზე თავისი ქვეყნიდან და ქორწინება ხდება მათ სამშობლოში ან მიმდინარე საცხოვრებელ ადგილზე⁴³.

პოზიტიური ინტერაქცია

ფსიქოლოგიური კონტროლი შეიძლება ასევე გამოხატული იყოს "პოზიტიური" ინტერაქციის ფორმით⁴⁴. დასაწყისში შესაძლებელია დამნაშავე პარტნიორად/მეგობრად/მისაბამ პიროვნებად/მშობლის ტიპის ფიგურად მოგვევლინოს და წინამორბედი მოწყვლადობის, როგორც არის საიმედო ურთიერთობების ნაკლებობა, გათვალისწინებით, მსხვერპლი შესაძლებელია ძალიან უმწეო აღმოჩნდეს ზემოაღნიშნულის მიმართ. პოზიტიურმა ინტერაქციამ შესაძლებელია წარმოშვას სოლიდარობა ბავშვსა და მოძალადეს შორის. ასევე ადამიანებისთვის დამახასიათებელია, უცნობისადმი სიძულვილი და შიში და შესაბამისად უფრო დაცულად გრძნობენ თავს ნაცნობ გარემოში ან ადამიანებთან, იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს ობიექტურად აშკარად საზიანოა ბავშვისთვის. უცნობი შეიძლება უფრო საშიშად ეჩვენებოდეს, ვიდრე ნაცნობი ბოროტება. მოძალადე შეიძლება მონაცვლეობდეს პოზიტიურ და ნეგატიურ ინტერაქციებს შორის. ეს არის სტრატეგია, რომელიც, ფაქტობრივად, უფრო ეფექტურია, ვიდრე უბრალოდ ნეგატიური საშუალებების გამოყენება მსხვერპლის გასაკონტროლებლად (მუქარა და სისასტიკე, მაგალითად). მსხვერპლი შესაძლებელია ჩაებდაუჭოს პოზიტიურ ინტერაქციას და დაიწყოს მისი ძიება, ამავდროულად საკუთარი თავი დაადანაშაულოს იმ საქციელის გამო, რომელიც იწვევს ნეგატიურ რეაქციებს მოძალადის მხრიდან. ეს იმ ბავშვების საქციელს ჰგავს, რომლებიც მოძალადე მშობლებთან იზრდებიან.

ტრავმული მიჯაჭვულობა

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა მოწყვლადი წარსულის მქონე ადამიანები, რომლებიც განიცდიდნენ ჯანსაღი ურთიერთობების ნაკლებობას, ვიქტიმიზაციის განსაკუთრებული რისკის ქვეშ არიან. გარდა ამისა, ისინი უფრო მეტად დამოკიდებული ხდებიან მოძალადეებზე ეგრეთ წოდებული ტრავმული მიჯაჭვულობის ფორმით. ეს მოიცავს ემოციურ მიჯაჭვულობას, როდესაც მსხვერპლი დამოკიდებული ხდება მოძალადეზე, მიუხედავად იმისა, რომ მეორდება ძალადობის ისტორია. ტრავმული მიჯაჭვულობის თავისებურებებს შორისაა ⁴⁵ არათანაბარი ძალაუფლება, მოძალადის მიერ ალტერნატიულად პოზიტიური და ნეგატიური ინტერაქციის გამოყენება, მსხვერპლის მხარეს, მაღლიერების შეგრძნება პოზიტიური ინტერაქციის გამო და საკუთარი თავის დადანაშაულება ნეგატიური ინტერაქციის შემთხვევაში, როდესაც მსხვერპლი ფიქრობს მოძალადის პერსპექტივიდან. ემოციურმა კავშირმა მსხვერპლსა და მოძალადეს შორის

⁴³ Kervinen & Ollus, 2019.

⁴⁴ Bassil, 2019

⁴⁵ Casassa et al, 2022

შეიძლება გამოიწვიოს მსხვერპლის მიჯაჭვულობა მოძალადეზე ბევრად უფრო ეფექტურად, ვიდრე მუქარამ და სისასტიკემ.

იძულება

მნიშვნელოვანია იძულებითი კონტროლის გავლენის აღიარება. ⁴⁶ როგორც წესი, ტრეფიკინგი მოიცავს მუქარის, ძალისა და სხვა იძულების საშუალებების გამოყენებას, ასევე მოტაცებას, მოტყუებასა და გაყალბებას ან ძალაუფლების მოპოვებას ბავშვების მიმართ, ვინც ხშირ შემთხვევაში უმწეო მდგომარეობაში არიან. შესაძლებელია ასევე ადგილი ჰქონდეს სარგებლის გადახდას, მომსახურების სანაცვლოდ. როდესაც ამ საშუალებათაგან რომელიმეს გამოყენება ხდება, "თანხმობის" საკითხი, მაგალითად კომერციულ სექსთან ან მუშაობასთან დაკავშირებით, არარელევანტურია. ⁴⁷ წარსულში მოწყვლადობისა და იძულების გამოცდილებები ჩვეულებრივი მოვლენაა ასეთი მსხვერპლის შემთხვევაში.

მაგალითი: ექსპლუატაცია კრიმინალურ მოქმედებებში

ბავშვები და ახალგაზრდები, რომელთა მოტყუებით ან იძულებით ჩართვა ხდება დანაშაულებრივ საქმიანობაში ხშირად განსაკუთრებით უმწეო მდგომარეობაში არიან. მოძალადეებმა შეიძლება ჩაუნერგონ შეგრძნება, რომ ისინი არავის ჭირდება და არ გააჩნიათ საიმედო მხარდაჭერა უფროსებისგან, რასაც უმწეო მდგომარეობაში მყოფი ბევრი ბავშვი თავს ვერ აღწევს. ამ ბავშვებს შესაძლებელია ჩამოუყალიბდეთ ემოციური დამოკიდებულება მათზე, ვინც ასაქმებს და იმ ექსპლუატაციურ და მავნე გარემოზე, რომელშიც იმყოფებიან.

თუ ეს ახალგაზრდები ჩაითვლებიან კრიმინალურად და სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები მათ მოექცევიან როგორც კრიმინალებს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ისინი მოწადინებული იყვნენ მოგვაწოდონ ინფორმაცია იმ გარემოს შესახებ, სადაც მათზე ხორციელდება ძალადობა. მათ თანმდევი შედეგების საფუძვლიანი შიში შეიძლება გაუჩნდეთ⁴⁸.

ორგანიზებული დანაშაული ამ მოსაზრებითაც შესაძლებელია მოქმედებდეს. შესაძლოა ახალ წევრებს უბიძგებენ, რომ შეუერთდეს ჯგუფს და შემდეგ როდესაც მათ მოუნდებათ კრიმინალური ცხოვრების წესისგან თავის დაღწევა, მუქარისა და იძულების გზით ხდება მათი დაკავება.

იმისათვის რომ მოხდეს ახალგაზრდების იდენტიფიცირება, ვინც იძულებით ან მანიპულირების გზით იქნა ჩათრეული კრიმინალურ საქმიანობაში, აუცილებელია

⁴⁶ მიუხედავად იმისა, რომ იძულებას შეიძლება ჰქონდეს ზეგავლენა მსხვერპლზე და მათ დაკითხვაზე საგამომიებო მოქმედებების ფარგლებში, ბავშვების ტრეფიკინგის შემთხვევაში არ არის აუცილებელი იძულების დემონსტრირება ადამიანების ტრეფიკინგის შესახებ გაეროს კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად.

ოქმი. იგივენიარად, თანხმობა არ არის რელევანტური ბავშვებთან დაკავშირებულ შემთხვევებში.

⁴⁷ UNODC, 2014.

⁴⁸

https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/189392/DCSF-00064-2010.pdf.pdf. ამ ანგარიშში ასევე გამახვილებულია ყურადღება იმ შესაძლო რისკების იდენტიფიცირების საჭიროებაზე, რომლის წინაშეც შესაძლებელია ბავშვი აღმოჩნდეს კრიმინალური საქმიანობისგან თავის დაღწევის მცდელობის შემთხვევაში.

მართლმსაჯულების სისტემამ დაინახოს სრული სურათი და ბავშვის რეალური მდგომარეობა.

ეს მაგალითი დაკავშირებულია არა მხოლოდ იძულებასთან, არამედ ტრავმულ და პოზიტიურ ინტერაქციასთანაც.



დაკითხვის ადაპტირება ფსიქოლოგიური და იძულებითი კონტროლის გათვალისწინებით.⁴⁹

მსხვერპლმა შესაძლებელია თავად ვერც კი აღიქვას, რომ კონტროლდება დამნაშავეს (მაგალითად, ზრდასრული ბანდის ლიდერები ან რომანტიული პარტნიორები) მხრიდან და შესაძლებელია უფრო მეტ კავშირს გრძნობდეს მოძალადესთან, ვიდრე სახელმწიფო თანამდებობის პირებთან. უმეტესწილად, არ არის ეფექტური სტრატეგია, რომ მათ უბრალოდ შეეკითხო "აიძულეს" თუ არა, რომ ჩაედინათ ესა თუ ის მოქმედება ან გრძნობენ თუ არა, რომ მათი "თავისუფლება იზღუდება" ან/და "შეეძლოთ თუ არა კარებიდან გასვლა".

იმისათვის, რომ გაიზარდოს მსხვერპლისგან ინფორმაციის მიღების ალბათობა, რაც საშუალებას მისცემს გამომძიებლებს შეაფასონ ფსიქოლოგიური იძულების ან მაკონტროლებელი ქმედების შესაძლო ფაქტები, რეკომენდირებულია, რომ დამკითხველებმა დაკითხვისას დასვან ღია შეკითხვები, რაც მაქსიმუმამდე გაზრდის დაკითხული პირებისგან მიღებული ინფორმაციის მოცულობას. ამისათვის საუკეთესო გზაა სთხოვოთ მათ აღწერონ სიტუაცია მაქსიმალურად სრულად.

დამკითხველები უნდა ცდილობდნენ მოიპოვენ შეძლებისდაგვარად ბევრი მონაცემი ყოველდღიური ცხოვრების შესახებ, რაც მოიცავს ერთ ჩვეულებრივ დღეს. ყოველდღიური რუტინის შესახებ შეკითხვების დასმას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს თითქმის ყველა სიტუაციაში, როდესაც არსებობს ეჭვი რომ ადგილი ჰქონდა სისასტიკეს ან ძალადობას ახლო ურთიერთობების ფარგლებში ან ყოველდღიურ სოციალურ გარემოში, როგორც არის სამუშაო ადგილი.

გარდა ამისა, დამკითხველებს ვურჩევთ, რომ ყურადღება გაამახვილონ ისეთ თემებზე, როგორიცაა მეგობრები და სოციალური ცხოვრება. ხვდება ბავშვი თანატოლებს? აქვთ მათ საშუალება იურთიერთონ თავისუფლად ვისთანაც სურთ? როგორ ეკონტაქტებიან ამ ადამიანებს? თუ ბავშვი ოჯახისგან მოშორებულია, აქვს მათთან კონტაქტი და თუ აქვს როგორ? თუ ბავშვი გარეთ გადის, ვინ იცის სად მიდის და საიდან იცის?

აქვს ბავშვს წვდომა საკუთარ ტელეფონთან და თუ აქვს კიდევ სხვა ადამიანსაც ხომ არ მიუწვდება ხელი იგივე ტელეფონზე? იციან მათ, რომ შესაძლებელია ვინმე მიჰყვებოდეს მათ კვალს ტელეფონის ან სხვა მოწყობილობის GPS -ის გამოყენებით? აქვთ საშუალება გამოიყენონ სოციალური მედია, ელ-ფოსტა, ინტერნეტი? სხვა გამოსაკვლევ ასპექტებს შორის არის ბავშვის მიერ ბანკის/საკრედიტო ბარათების, ფულის გამოყენება, ასევე შესაძლო ხელფასი ან სხვა გადახდები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

⁴⁹ ეს რჩევები ჩამოყალიბდა ზემოაღნიშნულ კვლევებზე დაყრდნობით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს Cordisco-Steele 2019 და ტრეფიკინგის გამოძიებაზე სპეციალიზებული ფინეთის პოლიციის შიდა დოკუმენტაცია.

ბავშვს ასევე შეიძლება ჰკითხოთ რისი გაკეთების უფლებას აძლევენ და რას უკრძალავენ, რა შედეგები მოყვება გადახვევებს ("რა მოხდება თუ შენ..."). ამასთანავე ბავშვს შეიძლება ვკითხოთ რას იზამს თუ დაჭირდება რამის ყიდვა ან შოვნა.

არსებითი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ცხოვრების პირობების შესწავლას: როგორ, სად და ვისთან ერთად ცხოვრობს, ძინავს, ჭამს, ბანაობს და სხვ. როგორ მოსწონს ეს ყველაფერი? სად მიდის, როდესაც სახლიდან გადის? სად ცხოვრობდა მანამდე და როგორ მოხდა მისი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა? ასევე შესაძლებელია ვკითხოთ ბავშვს სად გაიზარდა.

გარდა ამისა, ბავშვის ურთიერთობების შესწავლა არის ძალიან მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ გავიგოთ მათი სოციალური მდგომარეობა და შესაძლო დამოკიდებულება ეჭვმიტანილზე. დამკითხველმა შესაძლებელია დასვას შეკითხვა ეჭვმიტანილის/მეგობრების/ოჯახის (შესაბამისად) შესახებ და ბავშვის ასაკიდან გამომდინარე, მის ურთიერთობებზე, იმის შესახებ თუ რას აკეთებს, რა მოსწონს, რა არ მოსწონს ამ ყველაფერთან დაკავშირებით და სხვ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მივიღოთ ინფორმაცია სანდო პირების შესახებ: "არის ვინმე, ვისაც შეგიძლია ენდო"? / "თუ რაიმე პრობლემა შეგექმნება, ვის უყვები ამის შესახებ"? ასეთი ადამიანები შეიძლება გახდნენ ინფორმაციის წყარო და თუ ისინი თავად არ არიან ეჭვმიტანილები, შესაძლებელია დამატებითი დახმარების გაწევაც შეძლონ. ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბება მნიშვნელოვანი დამცავი ფაქტორია მომავალში ძალადობისა და ტრავმული მიჯაჭვულობის თავიდან ასარიდებლად.⁵⁰

უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ურთიერთგაგების ჩამოყალიბებისთვის დროის დათმობა

უმწეო ბავშვის გარშემო არსებული სიტუაციის კონტინუუმის შესამოწმებლად, კონკრეტული მოქმედებების ძიებაზე უფრო მნიშვნელოვანია ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დასაკითხი ოთახის გარეთ არსებული სიტუაცია, კეთილგანწყობის ჩამოყალიბება და იმის გარკვევა თუ როგორ მოხვდა ბავშვი ამ სიტუაციაში.


ბავშვის უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველყოფას და დასაკითხი ოთახის გარეთ გარემოს შექმნას შესაძლებელია დასჭირდეს გარკვეული ძალისხმევა, ინფორმაცია, რესურსები, მჭიდრო თანამშრომლობა მსხვერპლის მხარდამჭერ პირებთან ან/და სოციალურ სამსახურთან და ასევე უნდა დაეთმოს შესაბამისი დრო.

დასაკითხი პირის ასაკის ან დაკითხვის/გამოკითხვის კონტექსტის მიუხედავად, არსებითი კეთილგანწყობა ხელს უწყობს კომუნიკაციას და ეხმარება ბავშვებს გადალახონ მღელვარება და ნეგატიური ემოციები. აღნიშნული დასტურდება საგამომიებო მოქმედებების ფარგლებში ბავშვების (ზრდასრულების) დაკითხვის/გამოკითხვის შესახებ ლიტერატურითა და სოციალური მხარდაჭერის შედეგების შესახებ კვლევებით.

ბავშვის ზოგადი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მოიცავდეს თავდაპირველად პოზიტიური ურთიერთობის იძულებით ურთიერთობად გადაქცევას, მოითხოვს მეტ დროს, ვიდრე ერთი ან რამდენიმე საგამომიებო მოქმედება, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში თუ თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე ბავშვი ჩაიკეტა ზოგადად უფროსების ან თანმდებობის პირებთან მიმართებაში. შესაძლებელია რამდენიმე დაკითხვა/გამოკითხვა დასჭირდეს ტრეფიკინგის საქმის გამომიებას და

⁵⁰ Casassa et al., 2022

ზოგიერთ საქმეზე შესაძლებელია უფრო მეტი დრო იყოს საჭირო კეთილგანწყობის ჩამოყალიბებისა და ისეთი ატმოსფეროს შექმნისთვის, სადაც ბავშვი საკმარისად თავისუფლად იგრძნობს თავს, რომ ისაუბროს თავის გამოცდილებაზე.



კეთილგანწყობის შესაქმნელად საჭირო კულტურულად სენსიტიური სტრატეგია

მართალია კვლევა საკმაოდ მკაფიოდ წარმოაჩენს კეთილგანწყობის ჩამოყალიბების მნიშვნელობას (ნებისმიერი ასაკის დასაკითხ პირებთან, მათ შორის ეჭვმიტანილებთან, მიმართებაში), თუმცა, ამისათვის საუკეთესო სტრატეგიის ჩამოყალიბება არც თუ ისე ადვილია. ჯერ კიდევ მწირია კვლევები კულტურული განსხვავებების შესახებ სოციალურ კომუნიკაციაში. ღია შეკითხვების გამოყენებით კოგნიტური დაკითხვისა და მიმანიშნებელი კითხვების თავიდან აცილების სტრატეგია თითქმის ერთნაირია, მუხედავად ენობრივი და კულტურული განსხვავებებისა, მაგრამ კეთილგანწყობის შესაქმნელად და ბავშვის მხარდაჭერისთვის საჭირო სოციალური სტრატეგია უფრო მეტად არის კულტურაზე დამოკიდებული. სტრატეგია, რომელიც მუშაობს, მაგალითად, აშშ-ში, როგორც არის ბავშვის სახელის ბევრჯერ გამოთქმა, ბავშვისთვის თხოვნა, რომ თვალეში გიყუროს და მნიშვნელოვანი დაინტერესების დემონსტრირება ისეთი ფრაზებით, როგორცაა, მაგალითად, "მინდა უკეთესად გაგიცნო", შესაძლებელია უზრდელობად და ზედმეტ ჩარევად იქნას აღქმული სხვა კულტურაში.

პოტენციურ ტრეფიკინგის მსხვერპლთან შეხვედრამდე, დამკითხველებმა გარკვეული დრო უნდა დაუთმონ დაკითხვის/გამოკითხვის დაგეგმვასა და მომზადებას, უნდა გაეცნონ მსხვერპლის წარსულს, მდგომარეობასა და გამოცდილებას, ვინაიდან ეს ყველაფერი მოქმედებს პოტენციური მსხვერპლის საქციელზე დაკითხვის დროს.

თარჯიმნებთან მუშაობა

თარჯიმნის როლი

საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში წარმოებული დაკითხვისას თარჯიმნის მონაწილეობის საკითხი დღემდე მკვლევართა ყურადღების მიღმა რჩება. კვლევების ანგარიშებმა და გამოძიების დამკითხველების, თარჯიმნებისა და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეების უკუკავშირმა კარგად დაგვანახა, რომ საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში წარმოებული დაკითხვებისას თარჯიმანი საკმაოდ დიდ გამოწვევას წარმოადგენს. საგამოძიებო დამკითხველების გამოცდილების ანალიზზე დაყრდნობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში თარჯიმნის დახმარებით ბავშვების დაკითხვასთან დაკავშირებული შვედური კვლევის სათაურში პირდაპირ ვკითხულობთ: "ეს საერთოდ არ მუშაობს, ასეთია ჩემი გამოცდილება".⁵¹

გამოცდილებამ აჩვენა, რომ თარჯიმნებმა შესაძლებელია თავი აარიდონ პირდაპირ თარჯიმანს. მათი საქციელი შესაძლებელია განპირობებული იყოს დამკითხველების და დასაკითხი პირების ინტერესების გათვალისწინებით, ან შეიძლება ცდილობდნენ, რომ დაეხმარონ ბავშვს უფრო ადვილი შეკითხვების დასმით. შესაძლებელია, ასევე, რომ ეს გამოწვეული იყოს სიტყვებისა და ფრაზების კონკრეტული სახით თარჯიმნის სირთულით. ასეთი მიდგომა თარჯიმნის მხრიდან ქმნის საფრთხეს, რომ გამოყენებული იქნება მიმანიშნებელი ენა და სხვა დაკითხვის ტექნიკა, რაც განაპირობებს ბავშვის ჩვენების დისკრედიტაციას.

დაკითხვებს, რომლებშიც მონაწილეს თარჯიმანი, ზოგჯერ "სამი ადამიანის ცეკვასაც" უწოდებენ. თუ ორი მოცეკვავისთვის შედარებით ადვილია თავიანთი მოძრაობების კოორდინაცია და პარტნიორის მოძრაობებზე სავსაუხლო რეაგირება, სამი ადამიანის ცეკვაში სინქრონიზაცია უფრო რთულია და საჭიროებს მეტ მომზადებასა და პრაქტიკას.

კულტურულად სენსიტიური ენა

სექსუალობასთან, გენდერულ საკითხებთან და ძალადობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია კულტურულად სენსიტიურია და შესაძლებელია საკმაოდ განსხვავდებოდეს სხვადასხვა კულტურაში და ერთი კულტურის შიგნითაც კი. ტერმინებს შესაძლებელია სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს და თარჯიმანის მიმართ სენსიტიურობის გამო შესაძლებელია საერთოდ დაიკარგოს.

ბევრ ენაში იყენებენ ევფემიზმებს სექსუალობის შესახებ პირდაპირ უხეშად საუბრის თავიდან ასაცილებლად. მაგალითად, ტერმინი "ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობა" არ არის ხელმისაწვდომი ყველა ენაში. გარდა ამისა, ბავშვის მიერ სექსუალური ძალადობის გამოცდილების დახასიათების შესაძლებლობას ხელს უშლის ის გარემოება, რომ უმეტეს ენაში არ არის ბავშვისთვის გასაგები და ზუსტი სიტყვები, რომლებიც შეესატყვისება გენიტალიებს (განსაკუთრებით, ქალის).

ასევე სხვადასხვა ენებში განსხვავებულად მოიხსენიებიან ადამიანები. თუ ზოგიერთ ენაში შესაძლებელია ადამიანზე მითითება სქესის განსაზღვრის გარეშე, ზოგ ენაში ნაცვალსახელი მიუთითებს ასაკსა და სტატუსზეც კი.

⁵¹ Toivonen et al., 2022

ამასთანავე, ღია და ნეიტრალური შეკითხვების დასხმა შესაძლებელია უფრო ადვილი იყოს ზოგიერთ ენაზე. მაგალითად, ჟესტების ენაზე თარჯიმანს შეიძლება გაუჭირდეს ღია შეკითხვის ფორმულირება.

ამონარიდი ინტერვიუდან⁵²

ქვემოთ მოცემულია დაკითხვის ჩანაწერი ტრეფიკინგის მსხვერპლ რუმინელ ქალთან.

ოფიცერი: თქვენ ამბობთ, რომ სცადა ჰქონოდა სექსი. შეგიძლიათ აგვიხსნათ რას გულისხმობთ მცდელობაში?

თარგმანი: თქვენ ამბობთ, რომ მან (მამრობითი სქესის აღმნიშვნელი ნაცვალსახელი) სცადა ჰქონოდა სექსი. რაზე მიუთითებთ, რის თქმა გსურდათ?

მსხვერპლი: ვიგულისხმე, რომ ვცდილობდი ის ჩემგან შეძლებისდაგვარად შორს შემეკავებინა

თარგმანი: ვცდილობდი შემეკავებინა ის ჩემგან შორს, რამდენადაც მე შემეძლო

ოფიცერი: სადმე შეეხო ის (მდედრობითი სქესის აღმნიშვნელო ნაცვალსახელი) მას (მამრობითი სქესის აღმნიშვნელი ნაცვალსახელი)?... დაადო ხელი მის პენისს? იყო ის აღფრთხილებული, გამაგრებული? ...

თარგმანი: სცადეთ რამენაირად ან შეეხეთ მას? ალელდა ის?

მსხვერპლი: დიახ, დიახ. მე შევეცადე, რომ მისთვის ხელი მეკრა, რადგან ის ჩემს ზემოდან იყო და ჰაერი აღარ მყოფნიდა, ძალიან მსუქანი და დიდი იყო

თარგმანი: მე ვცდილობდი ხელი მეკრა მისთვის, რადგან ის ჩემს თავზე იყო და არ შემეძლო ნორმალურად სუნთქვა, ასევე ის ძალიან დიდი იყო

როგორც ამ თარგმანიდან ჩანს თარჯიმანი ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად თარგმნოს, მაგრამ პირდაპირი მითითებების ზუსტი თარგმანი სექსუალურ მოქმედებებზე, განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა.

დამკითხველებისა და თარჯიმნების ერთობლივი ტრენინგი

ფინური "ბარნაჰუსის" პროექტის ფარგლებში 2020 წლიდან ტარდება ტრენინგი სასამართლოს რეგისტრირებული თარჯიმნებისთვის, ვინც სპეციალიზებულია ბავშვების საგამომიებო მოქმედებების ფარგლებში დაკითხვაზე. ტრენინგის შედეგად ჩამოყალიბდა ახალი რეკომენდაციები პოლიციისთვის იმის თაობაზე თუ როგორ უნდა წარმართონ თარჯიმნის მონაწილეობით ბავშვის დაკითხვა, უპირატესად ამ სპეციალიზებული თარჯიმნების დახმარებით. მნიშვნელოვანია, რომ ტრენინგი იყო ორმხრივად შემეცნებითი, ვინაიდან საგამომიებო მოქმედების ფარგლებში ბავშვების დაკითხვის სპეციალისტ დამკითხველებს, რომლებიც ატარებდნენ ტრენინგს, ისევე ბევრი რამ აქვთ სასწავლი თარჯიმნებისგან, როგორც ამ უკანასკნელებს - მათგან. ამ გამოცდილებების საფუძველზე გამეორდა მკვლევართა მიერ მანამდე უკვე ჩამოყალიბებული რეკომენდაციები: საგამომიებო დამკითხველები და თარჯიმნები უნდა თანამშრომლობდნენ, მონაწილეობას იღებდნენ ერთობლივ ტრენინგებში და ერთად

⁵² Wilson, 2020.

ამზადდებიან დაკითხვას. მნიშვნელობა არ აქვს რამდენად გამოცდილია საგამომიებო დამკითხველი, თუ თარჯიმანს არ ესმის ღია შეკითხვების დასმის მნიშვნელობა, რთული იქნება ხარისხიანი დაკითხვის ჩატარება.

i კეთილგანწყობა თარჯიმნების მიმართ

რეკომენდირებულია, რომ თარჯიმნები საქმის კურსში იქნან ჩაყენებული ურთიერთგაგების ჩამოყალიბების მნიშვნელობასა და დაკითხვის დროს ნეიტრალურ მხარდაჭერასთან დაკავშირებით. აღნიშნული ხაზს უსვამს თარჯიმნისთვის ტრენინგების ჩატარების მნიშვნელობას. სპეციალისტებს ვუწევთ რეკომენდაციას, რომ მაქსიმალურად, რამდენადაც შესაძლებელია, იმუშაონ სასამართლოს თარჯიმნებთან, რომელთაც გავლილი აქვთ სპეციალური სწავლება. დამკითხველებმა უნდა გამოყონ დრო, რომ დაკითხვა მომზადდეს ერთობლივად და მნიშვნელოვანი შეკითხვების დასმასთან დაკავშირებით განისაზღვროს შესაბამისი გზები, რომ თავიდან იქნას აცილებული მინიშნებები და უზრუნველყოფილი იქნას თარჯიმანთათვის ურთიერთგაგება, მათ შორის ტრეფიკინგისა და ექსპლუატაციის საკითხებზე.

i თარჯიმნებთან ერთად მუშაობა

დაკითხვამდე დაგეგმვა და მომზადება ძალიან მნიშვნელოვანია. დამკითხველებს ვურჩევთ, რომ შეხვდნენ თარჯიმნებს დაკითხვამდე და გაიარონ დაგეგმილ ინტერვიუსთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის ეტაპები და თითოეული ეტაპის მნიშვნელოვანი მომენტები. გარდა ამისა, დამკითხველებს შესაძლებელია უნდოდეთ, რომ დაგეგმილი შეკითხვები და ბრალდების თემა გააცნოს თარჯიმანს, რათა ამ უკანასკნელს მიეცეს დრო, რომ მოიფიქროს როგორ ჩამოაყალიბოს ეს თუ ის ღია შეკითხვა და მაქსიმალურად თავიდან აიცილოს მიმანიშნებელი ფრაზები.

დამკითხველები და თარჯიმნები ასევე უნდა განიხილავდნენ როგორ იმუშაონ შესაძლო კომუნიკაციის პრობლემებზე. მაგალითად, თუ ბავშვის მიერ გამოყენებული სიტყვა ორაზროვანია ან შეიძლება ჰქონდეს ერთზე მეტი მნიშვნელობა, თარჯიმანს შეიძლება მიეცეს ინსტრუქცია, რომ აღნიშნულზე გააკეთოს კომენტარი და თქვას, რომ ეს სიტყვა შეიძლება ნიშნავდეს როგორც X-ს, ასევე Y-ს და შესაძლებელია დამკითხველი შეეცადოს მოძებნოს ტერმინის დაზუსტების გზა. იგივე შეეხება შეკითხვებსა და პასუხებს, რომელთა პირდაპირ თარგმნაც თარჯიმანს არ შეუძლია.

ასეთი შემთხვევის მაგალითი შეიძლება იყოს შემდეგი:

- ტექნიკური ტერმინოლოგია, კომპლექსური ტერმინები და პროცესები;
- ისეთი სიტყვების თარგმნა, რომელსაც რომელიმე ენაში არ აქვს სქესი, როდესაც მეორე ენაში არ მოიძებნება შესაბამისი სიტყვები სქესზე მინიშნების გარეშე;
- სექსუალური მოქმედებების განხილვა ან გენიტალიებზე შეხების ფაქტის გარკვევა, ლინგვისტურ კონტექსტში, როდესაც ზუსტი სიტყვები არ მოიძებნება, მაგრამ შესაძლებელია ეფემერიზმების გამოყენება;
- ღია შეკითხვების თარგმნა მაგალითად ქესტების ენაზე. ღია შეკითხვების არარსებობის შემთხვევაში მითითებები შესაძლებელია იქნას გადაყვანილი სავარაუდო პასუხების სერიაში, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მიმანიშნებელი შეკითხვების დასმის ალბათობა.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელზეც ხშირად მიუთითებენ თარჯიმნები, მაგრამ სპეციალისტთა მხრიდან მაინც შეუმჩნეველი რჩება გახლავთ ის, რომ თარჯიმნის მონაწილეობით წარმოებულ დაკითხვაში თარჯიმანი ორმაგად მუშაობს, განსხვავებით დამკითხველისა და ბავშვისგან. შესაბამისად მისი ამოცანა კოგნიტურად და ხშირად,

ემოციურადაც, საკმაოდ დატვირთულია. ამრიგად, დამკითხველმა უნდა მიაქციოს ყურადღება თარჯიმნის მდგომარეობას. მაგალითად, შეათანხმოს როგორ ანიშნოს თარჯიმანმა რომ სჭირდება შესვენება ან საჭიროა, რომ დამკითხველმა უფრო ნელა ისაუბროს ან უფრო მოკლე წინადადებები თქვას.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ თარჯიმნებთან მუშაობა უნდა განიხილებოდეს, როგორც ცოდნის მიღების შესაძლებლობა. საგამომიებო დამკითხველები დამოკიდებული არიან ზუსტ ენაზე და რაც უფრო კარგად მიხვდება დამკითხველი ენობრივ საზღვრებს, რომელსაც ბავშვი იყენებს, მით უფრო წარმატებული კომუნიკაცია შედეგება. ბავშვის დაკითხვის თარგმნასთან დაკავშირებული გამოწვევების დაფიქსირება უკვე კარგი დასაწყისია.

დანართი: ბავშვის დაკითხვის ადაპტირება ბავშვის წინააღმდეგ მიმართული ტრეფიკინგისა და მასთან დაკავშირებული სხვა დანაშაულების გამოძიებისას

შენიშვნა: ეს არის NICHD-R-ის დაკითხვის პროტოკოლი, რომელიც განკუთვნილია დამკითხველებისთვის, ვისთვისაც ცნობილია პროტოკოლი (ან სხვა მსგავსი მტკიცებულებებზე დაფუძნებული დაკითხვის პროტოკოლები). იგი არ უნდა იქნას გამოყენებული ჩანაცვლების მიზნით. მისი მიზანია ნათელი მოჭვინოს იმ ფაქტორებს რაც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ბავშვთა ტრეფიკინგის გამოძიებისას.

1. დაგეგმვა და მომზადება დაკითხვის წინ

საგამოძიებო დაკითხვა უნდა დაიწყოს დაგეგმვით და მომზადებით, რომლის დროსაც დამკითხველები საკუთარ თავს მიაწვდიან ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე

- მსხვერპლის წარსული
- სავარაუდო დანაშაულთან (დანაშაულებთან) დაკავშირებული წარსული ინფორმაცია
- შესაძლებლობის შემთხვევაში, მსხვერპლის ინფორმირებულობა გამოძიების შესახებ
- მსხვერპლისთვის თარჯიმნის საჭიროების საკითხი, მათ შორის იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლი დიალექტზე საუბრობს

მნიშვნელოვანია, რომ საუბრისას სავარაუდო დანაშაულის შესახებ შესავალი დაგეგმილი იყოს დაკითხვის დაწყებამდე, რათა უზრუნველყოფილი იყოს რომ თემა გაცნობილია ისეთი ფორმით, რომ არ არის ორაზროვანი და ამავდროულად არც წამყვანი. განსახილველი საკითხები უნდა იყოს დაგეგმილი დაკითხვის დაწყებამდე და გადაიხედოს ახალი ინფორმაციის მიღებისას.

არსებული ვარაუდის ალტერნატიული ჰიპოთეზები

დაკითხვის დაწყებამდე მნიშვნელოვანია, რომ დამკითხველმა შეაფასოს დაკითხვამდე არსებული ინფორმაცია და განიხილოს შესაძლო ალტერნატიული ჰიპოთეზები არსებულ ვარაუდთან დაკავშირებით. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც ვარაუდი ეფუძნება სხვა პირის მონათხრობს იმის თაობაზე თუ რა თქვა ბავშვმა, ალტერნატიული ჰიპოთეზები უნდა მოიცავდეს (მინიმუმ) შემდეგ მონაცემებს:

1. ბავშვის ვიქტიმიზაცია მოხდა მონათხრობის თანახმად ნაცნობების მიერ
2. ვარაუდის ნაწილი სწორია, მაგრამ მოქმედებები/დამნაშავეები/კონტექსტი განსხვავებულია პირველადი ვარაუდისგან
3. ვარაუდი გამომდინარეობს ნაცნობის მხარეს არსებული გაუგებრობიდან
4. ვარაუდი სწორია ბავშვთან გამართული მთავარი დიალოგებიდან გამომდინარე
5. ვარაუდი წარმოადგენს განზრახ არასწორ ბრალდებას ერთ-ერთის მხრიდან

უცნობი ფაქტების გათვალისწინება: საგამოძიებო აზროვნება

თუ ვარაუდები ეფუძნება მყარ მტკიცებულებებს (როგორც არის მაგალითად ვიდეო მტკიცებულებები ან არაორაზროვანი სომატური მიგნებები), შესაძლებელია ადარ იყოს საჭირო ალტერნატიული ჰიპოთეზები უშუალოდ ვარაუდისთვის, თუმცა, კვლავ

მნიშვნელოვანია, რომ შენარჩუნებული იქნას იგივენაირი საგამომიებო, ღია აზროვნების მიმართულება შესაძლო არასწორ ინტერპრეტაციებთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება მტკიცებულებებს ან მოვლენებს, რომლებიც ზედაპირზე არ გამოჩენილა და სხვ. დამკითხველს ვურჩევთ, რომ ჩამოწეროს ღია შეკითხვები დაკითხვის დაწყებამდე, რათა არ დაავიწყდეს ისინი და იმისათვის, რომ მაქსიმალურად ბევრი ღია შეკითხვა იქნას ჩამოყალიბებული. ეს თემები მაგალითად მოიცავს (მაგრამ ყოველთვის შეიძლება შეიცვალოს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის საფუძველზე):

- სხვა ზრდასრულების ჩართულობა (გარდა სავარაუდო დამნაშავეისა)
- სხვა ბავშვების მონაწილეობა (ან ზრდასრული მსხვერპლის)
- სხვა პირებთან მოვლენების განხილვა, მათ შორის დამნაშავესთან, მსხვერპლთან და სხვა ადამიანებთან
- სხვა მსგავსი შემთხვევები რაც მიმართული იყო ბავშვისა და სხვა პირების მიმართ
- ტრანზაქციები
- კომუნიკაციის საშუალებები

საქმეებში სადაც მონაწილეობს თარჯიმანი

პროფესიონალი თარჯიმანს, რომელიც სასურველია, რომ იყოს *სასამართლოს რეგისტრირებული თარჯიმანი*, უნდა დაუკავშირდნენ და მისცენ დრო დაკითხვამდე იმისათვის, რომ დამკითხველმა და თარჯიმანმა განიხილონ *ძირითადი თემები* რომელზეც იქნება საუბარი. დაგეგმვა ასევე გულისხმობს *შესაძლო არასწორი კომუნიკაციის მართვას შეკითხვის ღია ფორმით ჩამოყალიბების მნიშვნელობასა და მიმანიშნებელი შეკითხვების თავიდან აცილებას* ასევე, გადამწყვეტი ტერმინების განხილვას.

განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, რომლებიც დაკავშირებულია სექსუალურ დანაშაულთან ან იძულებით ქორწინებასთან, მნიშვნელოვანია დადგინდეს მსხვერპლს ხომ არ აქვს გამოკვეთილი მოთხოვნა დამკითხველის ან/და თარჯიმნის სქესთან დაკავშირებით.

2. შესავალი ნაწილი: კეთილგანწყობის ჩამოყალიბება და ბავშვის შეგუება დაკითხვის გარემოსთან

შესავალი ნაწილის მიზანია შექმნას არსებითი ურთიერთგაგება ბავშვთან მიმართებაში. ბევრი ტრეფიკინგისა და სხვა ისეთი დანაშაულის, როგორცაა ონლაინ სექსუალური დანაშაული, მსხვერპლი ბავშვი შესაძლებელია უარს აცხადებდეს სახელმწიფო თანამდებობის პირებთან საუბარზე, თავისი გამოცდილების შესახებ. კარგი ურთიერთგაგების შექმნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ ბარიერის გადასალახად და ზოგადად, ყველა დასაკითხი პირისთვის წარმოადგენს აუცილებელ პირობას წარმატებული საგამომიებო დაკითხვისთვის.

ძირითადად, არ არის რეკომენდებული ინტერვიუს დაწყება გონივრული ურთიერთგაგების ჩამოყალიბების გარეშე. სიტუაციის შესაბამისად, განსხვავდება კეთილგანწყობის შექმნის გზებიც და ზოგიერთი ბავშვისთვის შესაძლებელია საჭირო იყოს ცალკე შეხვედრა, საგამომიებო დაკითხვის დაწყების მცდელობამდე, მაშინ როდესაც სხვებისთვის შესაძლებელია მნიშვნელოვანი იყოს რომ მიეცეს უფლება დაიწყოს საუბარი განვითარებული მოვლენების შესახებ მაქსიმალურად სწრაფად.

3. დაკითხვისთვის ვარჯიში (ეპიზოდური მახსიერების ვარჯიში)

დაკითხვისთვის ვარჯიშის მიზანია შეგუებული იყოს ბავშვი, დაკითხვისას კომუნიკაციასთან და მიეცეს ვარჯიშის საშუალება. ასევე, გაიაროს პრაქტიკა როგორ უპასუხოს ღია შეკითხვების მინიმუმებს. ამით ასევე საშუალება ეძლევა დამკითხველს, რომ გაეცნოს ბავშვის მხრიდან კომუნიკაციის ფორმას. პატარა ბავშვების ან ატიპიურად განვითარებული ქცევის ან თარჯიმნის მონაწილეობით წარმართული დაკითხვის შემთხვევაში აღნიშნული იძლევა საშუალება შეფასებული იქნას დაკითხვის წარმატებულად ჩატარება შესაძლებელია თუ არა გეგმის შესაბამისად, თუ საჭიროა დამატებითი მხარდაჭერა ან ცოდნა.

4. საბაზისო წესები (ბავშვებზე მორგებული და კანონმდებლობის შესაბამისი)

მოწმეთა უფლებები და მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნები განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში, თუმცა როგორც წესი აუცილებელია დასაკითხი პირისთვის დაკითხვის დაწყებამდე მათი განმარტება. მათი განმარტების ფორმა მორგებული უნდა იყოს ბავშვის ასაკზე და აღქმის დონეზე.

ბავშვების დაკითხვის/გამოკითხვის შესახებ ლიტერატურის მიხედვით, ამ შემთხვევაში სასურველია ძირითადად გაცნობილი იქნას შემდეგი საკითხები⁵³:

- სიმართლის თქმის მნიშვნელობა (ბავშვისთვის მითითების მიცემის გზით ან თხოვნით, რომ დადოს პირობა, რომ არ მოიტყუება)
- უფლება, რომ შეუძლია არ ისაუბროს იმ საკითხებზე, რაზეც არ სურს საუბარი
- ბავშვმა უნდა თქვას თუ არ არის დარწმუნებული ან არ იცის ან არ ახსოვს რაიმე
- ბავშვს შეუძლია და აქვს უფლება შეუსწოროს დამკითხველს თუ მან რაიმე არასწორად გაიგო

არ უნდა დაგვავიწყდეს არც ერთი სამართლებრივი ასპექტის განმარტება ბავშვისთვის გასაგები ფორმით, როგორცაა მაგალითად თვითინკრინინაციასა და ოჯახის წევრების ინკრინინაციასთან დაკავშირებული უფლებები.

5. ძირითადი ნაწილი

როდესაც დამკითხველი წარმატებით დაამყარებს კეთილგანწყობას ბავშვთან, შეუძლია გადავიდეს ძირითად ეტაპზე, თუ შესაძლებელია მინიმუმების გარეშე. თემის გაცნობის ფორმა შესაძლებელია მკვეთრად განსხვავდებოდეს არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე. მაგალითად, ინფორმაციაზე რომელიც მკაფიოა და არაორაზროვან მტკიცებულებას წარმოადგენს, მითითება შესაძლებელია გამოძიების მიზეზის ახსნისას.

მაგალითი: იძულებითი / ბავშვთა შრომა: თუ მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რომ ბავშვი მუშაობს და ეჭვი უკავშირდება სამუშაო პირობებს, რომელიც შესაძლებელია წარმოადგენდეს ადამიანის ტრეფიკინგს, დაკითხვის თემაც შეეხება ბავშვის მუშაობას. მთავარი მიზანია შეგროვდეს ყველაწარმოადგენელი ინფორმაცია სამუშაო პირობების შესახებ (მაგ. ისტორია, პირადი ურთიერთობები, ანაზღაურება, სამუშაო საათები და სხვ).

⁵³ Note: ისინი შეძლება განსხვავდებოდეს იმ როლის მიხედვით, რომელშიც ბავშვი უნდა დაკითხოს (მაგ. მსხვერპლი/მოწმე/ეჭვმიტანილი).

"როგორ გავიგე მუშაობ X-ში. შეგიძლია მომიყვე ამის შესახებ?" → შენ აღნიშნე, რომ ეს (სახალისო/მოსაწყენია/მძიმე სამუშაო)... მომიყევი მეტი ამის შესახებ... როგორ ხდება X/შენ რას გულისხმობ X-ში?

"როდის იყო შენი ბოლო სამუშაო დღე? შეგიძლია მითხრა რა გახსოვს მის შესახებ?"

"როგორც მითხარი X უფროსია. გთხოვ მეტი მომიყევი X-ის შესახებ". → მითხარი როგორ გაიცანი ისინი... ჩვეულებრივ რას აკეთებთ, როდესაც ერთად ხართ... სხვა ადამიანების შესახებ ვინც იქ არიან....

მაგალითი: ონლაინ სექსუალური ძალადობა: როდესაც არსებობს სურათები, ვიდეოები, "ჩათის ლოგები", რომლებიც წარმოადგენს აშკარა მტკიცებულებას, რომ დაკითხული ბავშვის ვიქტიმიზაციას ჰქონდა ადგილი, დამკითხველს შეუძლია, რომ მიუთითოს ამაზე.

"პოლიცია იძიებს საქმეს, სადაც აღმოჩნდა, რომ კაცმა სთხოვა ბავშვებს გაეგზავნათ მისთვის სურათები და გვინდა ვიცოდეთ რამდენადაც შესაძლებელია მეტი ამ კაცის შესახებ, როგორ შევიდა ის ბავშვებთან კონტაქტში. მისი ჩათის ლოგიდან ვადგენთ, რომ ასეთ მესიჯებს ის შენც გიგზავნიდა. ამ კაცს ქვია X. შეგიძლია მითხრა ყველაფერი რაც ამ კაცის შესახებ იცი?"

თუმცა, ბევრ შემთხვევაში ეს ე.წ. ძირითად სიმართლე უცნობია საგამოძიებო დაკითხვამდე. ასეთ შემთხვევებში ვარაუდთან დაკავშირებული ინფორმაცია უნდა ჩაითვალოს დაუზუსტებლად. ასეთი ინფორმაცია არ უნდა იქნას მოხსენიებული როგორც ფაქტი.

მაგალითად, საუბრები ბავშვებსა და მოზრდილებს შორის (ან ნებისმიერ ორ ადამიანს შორის) შესაძლებელია შეიცავდეს შეცდომებს, გამოტოვებულ ინფორმაციას, არასწორ ინტერპრეტაციას და არასწორ ვარაუდებს, მიმანიშნებელი შეკითხვების (მიუხედავად იმისა ეს განზრახ იყო თუ შემთხვევით) გამო. იმ შემთხვევებში, როდესაც დაფიქსირებულია, რომ ბავშვმა ვიდაცას უთხრა მის წინააღმდეგ მიმართული ძალადობის შესახებ, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ შესაძლებლობა, რომ ადგილი ჰქონოდა არასწორ გაგებას. ბავშვს უნდა დაესვას შეკითხვები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს აღწეროს სიტუაცია მიუკერძოებლად და არ უნდა ვთხოვოთ ბავშვს გაიმეოროს რაიმე. მაგალითად: "რა უთხარი შენს მასწავლებელს".

დაკითხვის ძირითადი ნაწილის ფარგლებში რეკომენდირებულია, რომ თემა გამოკვლეული იქნას ეგრეთ წოდებული **"ძაბრის მიდგომით"**, ანუ შეგროვდეს მაქსიმალური ინფორმაცია ღია შეკითხვების მეშვეობით:

შეთავაზებები ("მითხარი მეტი ამის შესახებ") და გამოკვეთილი შეთავაზებები, რომლებიც მიუთითებს ბავშვის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე და დამატებით იკვლევს საკითხს ("შენ აღნიშნე რომ მან გაიძულა. მომიყევი ამის შესახებ რამდენიც შეგიძლია"). დამკითხველმა უნდა დასვას მხოლოდ უფრო ფოკუსირებული შეკითხვები, ას შემდეგ, როდესაც ყველა შესაძლო ინფორმაცია შეგროვებული იქნა ღია მინიშნებებით. მაგალითად, თუ პირის ასაკს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა გამოძიებისთვის და ბავშვმა აღწერა პირთან ინტერაქცია, დამკითხველმა უნდა პირველ რიგში ჰკითხოს ბავშვს პირის შესახებ;

"შენ X ახსენე. შეგიძლია მომიყევი მეტი X-ის შესახებ..."

დამკითხველს შეუძლია შეავიწროვოს და უფრო დააკონკრეტოს შეკითხვა, მაგალითად;

შეგიძლია დაახასიათო როგორ გამოიყურება X? ."

მხოლოდ ამ შეკითხვების დასმის შემდეგ შეუძლია დამკითხველს, ბოლო საშუალებად გამოიყენოს უფრო კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა, როგორც არის მაგალითად, ხომ არ იცის ბავშვმა დაახლოებით რამდენი წლის იყო X. დახურულ შეკითხვებს ახლავს ბავშვის მხრიდან გამოცნობის მცდელობის რისკი და ეს უნდა იცოდეს დამკითხველმა.

აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ თუ ბავშვი იტყოდა, რომ ის არის 45, დამკითხველს შეეძლო შემდეგი შეკითხვა მიეყოლებინა, თუ სიდან იცოდა ეს ბავშვმა. ამან შეიძლება გამოიწვიოს შემდეგი ინფორმაციის მოწოდება: "ის გამოიყურება მამაჩემივით და არის 45 წლის" ან "არი ვიცი, მაგრამ მოხუცს ჰგავდა ან "მან თქვა, რომ 45 წლისაა. ეს გვაძლევს მოწოდებული ინფორმაციის უკეთესად შეფასების საშუალებას.

დაკითხვის მიმდინარეობისას მნიშვნელოვანია, რომ შევქმნათ და შევინარჩუნოთ კეთილგანწყობა და გავაგრძელოთ ბავშვის მხარდაჭერა აქტიური მოსმენის გზით!

როდესაც ბავშვმა გამოსცადა რაიმე განმეორებითაც

განმეორებადი მოვლენების შესახებ მოგონებები შეიძლება განსხვავდებოდეს ინდივიდუალური შემთხვევების შესახებ მოგონებებისგან. განმეორებადი და ამავდროულად მსგავსი გამოცდილებები ცნობილია, რომ იწვევს მოგონებებს იმის შესახებ თუ "რა ხდება ჩვეულებრივ" და ბავშვს შეიძლება გაუჭირდეს ზუსტი დეტალების გახსენება, ცალკეულ შემთხვევებზე.

განმეორებადი შემთხვევების შესახებ დაკითხვის წარმოებისას დამკითხველებს ვურჩევთ გაითვალისწინონ შემდეგი:

1. დასვან შეკითხვა განმეორებად მოვლენების შესახებ უკვე ინტერვიუს პრაქტიკულ ნაწილში
2. გამოიყენონ ზოგადი ფრაზა: "ჩვეულებრივ რა ხდება, როდესაც..) და კონკრეტული ფრაზა: "რა მოხდა გუშინ", ვინაიდან ეს საშუალებას იძლევა მოხდეს სხვადასხვა ტიპის მოგონებების აღდგენა
3. ჰკითხეთ ეს რაღაც ერთხელ მოხდა თუ რამდენჯერმე
4. გამოყავით კონკრეტული ეპიზოდები: "მომიყვი იმის შესახებ ბიძა რომ მოინახულე"
5. შეეკითხეთ კონკრეტული ეპიზოდების შესახებ, ყველაზე გვიანდელი, პირველი ან იმ შემთხვევის შესახებ, რომელიც ბავშვს ყველაზე კარგად ახსოვს

ფსიქოლოგიური იძულებისა და კონტროლის შესწავლა

ტრეფიკინგის მსხვერპლი შესაძლებელია საერთოდ ვერ გრძნობდეს, რომ მას აკონტროლებენ და შეიძლება აღიქვამდეს ტრეფიკიორს საკუთარ მეგობრად ან ადამიანად, ვისაც შეიძლება დაეყრდნოს და შესაძლებელია უფრო მეტადაც ენდობოდეს, ვიდრე სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებს. ამიტომ პირდაპირ შეკითხვის დასმა "იძულების" შესახებ შეიძლება სრულიადაც არ იყოს ინფორმატიული. კვლავ შეთავაზებები და ბავშვის მხარდაჭერა საჭირო იმისათვის რომ მოწოდებული იქნას მეტი ინფორმაცია გარემოებების შესახებ. ფსიქოლოგიურ კონტროლთან და იძულებასთან დაკავშირებით ინფორმაციის შესაგროვებლად დამკითხველებს ვურჩევთ შეაგროვონ შეძლებისდაგვარად მეტი ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რომელშიც სავარაუდოდ ტრეფიკინგს აქვს ადგილი. ვინაიდან ტრეფიკინგის მსხვერპლებს ხშირად შეზღუდული აქვთ დამოუკიდებლობა და იზოლირებული არიან გარესამყაროსგან, მნიშვნელოვანია ამ თემების შესწავლა.

თემები, რომლებზეც უნდა მოხდეს ფოკუსირება:

- კონტროლი/თავისუფლება:
- მეგობრები, სახლის გარეთ სოციალური ცხოვრება, სოციალურ კონტაქტებთან კონტაქტის საშუალებები
- ტელეფონის გამოყენება, სოციალური მედია (წვდომა/სხვა პირების წვდომა)
- საბანკო ბარათები, ფულის გამოყენება
- ხელფასი, გადახდები
- ყოველდღიური რუტინა!
- ცხოვრების პირობები (საკუთარი ოთახი, ჰიგიენა, საკვები)
- ურთიერთობები (ექვმიტანილთან, მეგობრებთან, ოჯახთან)
- ადამიანები, რომელთა ნდობაც შეუძლია ბავშვს. როგორ შეუძლია ბავშვს მათთან დაკონტაქტება?
- ადამიანები ვისთანაც შეუძლია ბავშვს დალაპარაკება?

თუ ბავშვს არ სურს ისაუბროს განსახილველ თემაზე

მნიშვნელოვანია, რომ არც ერთი ბავშვის იძულება ან მძიმედ მანიპულირება არ უნდა მოხდეს, მისი ალაპარაკების მიზნით. თუ ბავშვს არ სურს არსებით საკითხებზე საუბარი, დამკითხველმა პატივი უნდა სცეს მის არჩევანს. მაგალითად, დამკითხველს შეუძლია ეს მკაფიოდ აღნიშნოს: *“მესმის რომ ახლა არ გინდა ამაზე საუბარი. არ დაგაძალებ რომ მითხრა. შენ გაქვს უფლება თავად გადაწყვიტო რისი თქმა გსურს ჩემთვის.”*

თუ ბავშვი აშკარად წუხდება წამოჭრილი თემით, დამკითხველმა შესაძლებელია საუბარი გადაიტანოს უფრო მარტივ თემებზე და შესაძლებელია მოგვიანებით ჰკითხოს ბავშვს შეუძლია თუ არა ისევ დაუსვას რამდენიმე შეკითხვა. ზოგიერთ სიტუაციაში განსხვავებული თემა შესაძლებელი სიურპრიზი ან შოკის მომგვრელი აღმოჩნდეს ბავშვისთვის და მათ დასჭირდეთ გარკვეული დრო, რომ შეეჩვიონ თემის განხილვის აზრს. დამკითხველმა ასევე შეიძლება შესთავაზოს შესვენება ან შეხვედრის გადადება. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ დაუპტოვოთ ბავშვს შთაბეჭდილება, რომ მათ მოუწევთ ადრე თუ გვიან ამ თემაზე საუბარი.

ბავშვს ყოველთვის შეუძლია მიიღოს საკონტაქტო ინფორმაცია თუ მოგვიანებით აზრს შეიცვლის დაკითხვასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ რა საშუალებებია ყველაზე მარტივი ბავშვისთვის საკომუნიკაციოდ, ეს შეიძლება იყოს რაიმე სხვა გარდა მობილური ტელეფონის ან ელ-ფოსტისა სამუშაო საათებში.

6. დასასრული

დაკითხვის ბოლოს დამკითხველმა შეიძლება შეაჯამოს რაც ბავშვმა თქვა და ჰკითხოს კიდევ რამე ხომ არ არის ისეთი რაზეც დამკითხველს არ დაუსვამს შეკითხვა. დაკითხვის ბოლოს დამკითხველი უნდა შეეცადოს უზრუნველყოს, რომ ბავშვი თავისუფლად გრძნობდეს თავს, მაგალითად ჰკითხოს მას როგორც გრძნობს თავს და რაიმე ხომ არ სურს ან ჭირდება. თუ შესაძლებელია დამკითხველმა უნდა აუხსნას ბავშვს პროცესის შემდეგი ნაბიჯები რა იქნება.

დაკითხვის დასრულების შემდეგ დამკითხველმა და სხვა სპეციალისტებმა უნდა შეაფასონ ბავშვის მდგომარეობა და გადაწყვიტონ ესაჭიროება თუ არა დაუყოვნებლივ ან სამომავლო ზრუნვა.

ამ რეკომენდაციების ავტორია დოქტორი იულია კორკმანი, ბალტიის ზღვის ქვეყნების საბჭოს თხოვნის საფუძველზე, ევროპის კავშირის ერთობლივად დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ეს

არის "საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში ტრეფიკინგის საქმეებზე ბავშვების დაკითხვის შესახებ სახელმძღვანელოს" დანართი. სახელმძღვანელოში მოცემულია მითითებები საკვლევ ლიტერატურაზე, რომელიც გამოყენებული იქნა ნაშრომში, მაგრამ ძირითადი საკითხები, რომლებზეც აქ არის საუბარი მოცემულია შემდეგ ლიტერატურაში:

- *Korkman et al 2024*: თეთრი ფურცელი საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში ბავშვის დაკითხვის შესახებ: ევროპის ფსიქოლოგიისა და სამართლის ასოციაციის კვლევაზე დაფუძნებული რეკომენდაციები
- *Lamb et al 2018*: მომიყევი რა მოხდა: მსხვერპლი და მოწმე ბავშვების სტრუქტურირებული საგამოძიებო დაკითხვები. Wiley.
- *Brubacher et al 2014*: რეკომენდაციები განმეორებით გამოცდილებებთან დაკავშირებით ბავშვების დაკითხვის/გამოკითხვის შესახებ. ფსიქოლოგია, საჯარო პოლიტიკა და კანონი.
- *Cordisco-Steele 2019*: ექსპლუატაციისა და/ან ტრეფიკინგის ვარაუდის არსებობის შემთხვევაში ბავშვებისა და მოზარდების საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში დაკითხვის ადაპტირებული ოქმი. ბავშვთა ადვოკატორების ეროვნული ცენტრი
- *Korkman, 2023*: ადამიანების ტრეფიკინგი: ფსიქოლოგიური იძულება და საგამოძიებო დაკითხვა. HEUNI / ELECT-ის პოლიტიკის შეჯამება.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ნორა ჰალმენლაკსოს, გამოძიების ეროვნულ ბიუროს, ფინეთს, ნატალია ოლუსს, HEUNI-ს, ოლივია ლინდ ჰალდორსონს, ბალტიის ზღვის ქვეყნების საბჭოს, შაუნა ფონ ბლიქსენ-ფინეკეს, ბალტიის ზღვის ქვეყნების საბჭოსა და ლინდა კორდისცო-შტელეს, ბავშვთა ადვოკატორების ეროვნულ ცენტრს, სასარგებლო კომენტარების მოწოდებისთვის.

ბიბლიოგრაფია

- Akhtar, S., Justice, L. V., Morrison, C. M., & Conway, M. A. (2018). პირველი გამოგონილი მოგონებები *ფსიქოლოგიური მეცნიერება*, 29(10), 1612-1619.
- Andrews, S. J., & Lamb, M. E. & Lyon, T.D. (2015). შეკითხვის ტიპები, პასუხის გაცემაზე მზაობა და საკუთარ თავთან წინააღმდეგობები, როდესაც პროკურორები და დაცვის ადვოკატები კითხავენ ბავთა წინააღმდეგ სექსუალური ძალადობის სავარაუდო მსხვერპლს *გამოყენებითი კოგნიტური ფსიქოლოგია*, 29: DOI: 10.1002/acp.3103
- Bassil, N.C. (2019): იძულებითი კონტროლი გრძელვადიანი სექსუალური ტრეფიკინგის ურთიერთობებში: გამოფიტვის გამოყენება მსხვერპლის გასაკონტროლებლად. https://academicworks.cuny.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1105&context=jj_etds
- Brubacher, S. P., Powell, M. B., & Roberts, K. P. (2014). რეკომენდაციები ბავშვების დაკითხვის შესახებ განმეორებადი გამოცდილებების თაობაზე *ფსიქოლოგია, საჯარო პოლიტიკა და კანონი*, 20(3), 325–335. <https://doi.org/10.1037/law0000011>
- Andrews, S. J., Lamb, M. E., & Lyon, T. D. (2015). შეკითხვის ტიპები, პასუხის გაცემაზე მზაობა და საკუთარ თავთან წინააღმდეგობები, როდესაც პროკურორები და დაცვის ადვოკატები კითხავენ ბავთა წინააღმდეგ სექსუალური ძალადობის სავარაუდო მსხვერპლს. *გამოყენებითი კოგნიტური ფსიქოლოგია*, 29(2), 253-261.
- Casassa, K., Knight, L. & Mengo, C. (2022). ტრავმული მიჯაჭვულობის პერსპექტივი სერვისის მიმწოდებლებისგან და სექსუალური ტრეფიკინგისგან განთავისუფლებული პირებისგან: შემოფარგვლითი მიმოხილვა
- Cordisco Steele, L. (2019). ექსპლუატაციისა და/ან ტრეფიკინგის ვარაუდის არსებობის შემთხვევაში ბავშვებისა და მოზარდების საგამომიებო მოქმედების ფარგლებში დაკითხვის ადაპტირებული ოქმი. ბავშვთა ადვოკატების ეროვნული ცენტრი.
- Elfenbein, H. A., & Ambady, N. (2002). ემოციის შეცნობის უნივერსალურობისა და კულტურული სპციფიურობის შესახებ: მეტანალიზი *ფსიქოლოგიური ბიულეტენი*, 128(2), 203.
- Ernberg, E., Magnusson, M., Koponen, L., & Landström, S. (2022). " ეს საერთოდ არ მუშაობს, ეს ჩემი გამოცდილებაა". შვედური საგამომიებო დამკითხველების შეხედულებები თარჯიმნისი მონაწილეობით წარმოებული ბავშვების დაკითხვების შესახებ. *ბავშვებზე ძალადობა და უარყოფა*, 127, 105540.
- Franchino-Olsen H. (2021). ბავშვების კომერციულ სექსუალურ ექსპლუატაციასთან/ოჯახში სუსტი სქესის ტრეფიკინგთან დაკავშირებული მოწყვლადობა: რისკ ფაქტორების სისტემური მიმოხილვა. *ტრავმა, სისასტიკე და ძალადობა*, 22(1), 99–111. [Error! Hyperlink reference not valid.](#)
- Graham, B., Herlihy, J., & Brewin, C. R. (2014). საერთო მოგონება თავშესაფრის მაძიებლებსა და ლტოლვილებს შორის *ბიჰევიორული თერაპიისა და ექსპერიმენტული ფსიქიატრიის ჟურნალი*, 45(3), 375–380. <https://doi.org/10.1016/j.jbtep.2014.03.001>
- Goodey, J. (2003). მიგრაცია, დანაშაული და მსხვერპლად ყოფნა: პასუხები სექსუალურ ტრეფიკინგზე ევროპის კავშირში *სასჯელი და საზოგადოება*, 5(4), 415-431. <https://doi.org/10.1177/14624745030054003>
- Gudjonsson, G. H. (2021). მეცნიერებაზე დაფუძნებული გზები ყალბი აღიარებისა და მცდარი მსჯავრდების გაგებისთვის *საზღვრები ფსიქოლოგიაში*, 12, 633936.

Heather Fritzeley, V., Lindsay, R. C., & Lee, K. (2013). პატარა ბავშვების რექციის ტენდენციები "კი და არა" შეკითხვებზე მოქმედებებთან დაკავშირებით *ბავშვის განვითარება*, 84(2), 711-725.

Herlihy, J., Scragg, P., & Turner, S. (2002). განსხვავებები ავტობიოგრაფულ მოგონებებში - წინადადებები თავშესაფრის მამებელთა შეფასებისთვის: განმეორებადი დაკითხვების კვლევა *Bmj*, 324(7333), 324-327.

Herlihy, J., Jobson, L., & Turner, S. (2012). უბრალოდ გვითხარი რა შეგემთხვა: ავტობიოგრაფიული მოგონება და თავშესაფრის ძიება *გამოყენებითი კოგნიტური ფსიქოლოგია*, 26(5), 661-676. <https://doi.org/10.1002/acp.2852>

Home Office, 2010. ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვა, რომლებიც შეიძლება იყვნენ ბანდის მოქმედებების საფრთხის წინაშე: https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/189392/DCSF-00064-2010.pdf.pdf

Hoogesteyn, K. & Taniguchi, T. "ადამიანის ტრეფიკინგის შესაძლო მსხვერპლთა დაკითხვის პერსპექტიული პრაქტიკა სამართალდამცავთათვის: შემომფარგვლელი მიმოხილვა ხელმისაწვდომია

Hope et al. (2021). კრიტიკული საკითხები და პერსპექტივები კულტურისა და მეხსიერების დამოწმება დაკითხვის გადაკვეთისას კვლევისა და პრაქტიკის წინაშე არსებული გამოწვევების შესწავლა *სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ფსიქოლოგია*. <https://doi.org/10.1111/lcrp.12202>

Joleby, M., Lunde, C., Landström, S., & Jonsson, L. S. (2020). "ჩემი მთლიანობა სრულიად განსხვავებულია" ტექნოლოგიის დამხმარებით ბავშვებზე სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა გამოცდილებები და მათი შედეგები *საზღვრები ფსიქოლოგიაში*, 11, 606218.

Kelly, L. (1988). სექსუალური ძალადობისგან თავის დაღწევა კემბრიჯი: Polity Press

Kervinen, E. & Ollus, N. (2019). ბავშვებისა და ახალგაზრდების ტრეფიკინგი ფინეთში HEUNI - საგამომცემლო სერია #. 89. ჰელსინკი: HEUNI. <https://heuni.fi/-/trafficking-of-children-and-young-people-in-finland>

Khan, S., & Haque, S. (2022). ავტობიოგრაფიული მეხსიერება მომავალი ეპიზოდური აზროვნება ტრავმირებულ როკინჯელ ლტოლვლებში *გამოყენებითი კოგნიტური ფსიქოლოგია*, 1300(5), 661-1311. <https://doi.org/10.1002/acp.2852>

Korkman, J., Juusola, A., & Santtila, P. (2014). ვინ გააკეთა აღიარება? ბავშვებისა და ბავშვებზე ძალადობაში ეჭვმიტანილი მზრუნველელების საუბრის ჩანაწერები *ფსიქოლოგია, კრიმინალი და სამართალი*, 20(10), 994-1004.

Korkman, J., Otgaar, H., Geven, L., Bull, R., Cyr, M., Hershkowitz, I., Mäkelä, J-M., Mattison, M., Milne, R., Santtila, P., van Koppen, P., Memon, A., Danby, M., Filipović, L., Garcia, F.J., Gewehr, E., Gomes Bell, O., Järvillehto, L., Kask, K., Körner, A., Lacey, E., Lavoie, J., Magnusson, M., Miller, Q.C., Pakkanen, T., Peixoto, C.E., Perez, C.O., Pompedda, F., Su, I., Sumampouw, N.E.J., van Golde, C., Waterhouse, G.F., Zappalà, A. & Volbert, R. (2024). *თეთრი ფურცელი საგამომცემლო მოქმედების ვარგლებში ბავშვის დაკითხვის შესახებ: ევროპის ფსიქოლოგიისა და სამართალი ასოციაციის კვლევაზე დაფუძნებული რეკომენდაციები ფსიქოლოგია, კრიმინალი და სამართალი*

Korkman, Rossi, Joleby, Hershkowitz and Lamb, 2022: https://www.unodc.org/documents/commissions/CCPCJ/CCPCJ_Sessions/CCPCJ_31/PNI/Child_forensic_interviewing_in_online_cases.pdf

Lamb, M. E., Brown, D. A., Hershkowitz, I., Orbach, Y., & Esplin, P. W. (2018). *მომიყვები რა მოხდა: ბავშვების დაკითხვა ძალადობის შესახებ*. John Wiley & Sons.

Lamb, M. E., Orbach, Y., Sternberg, K. J., Hershkowitz, I., & Horowitz, D. (2000). გამოძიებელთა მიერ საგამომიებო მოქმედების ფარგლებში წარმოებული სავარაუდო ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დაკითხვების სიტყვა-სიტყვით ჩანიშვნების სიზუსტე *კანონი და ადამიანური საქციელი*, 24(6), 699-708.

Laukka, P., & Elfenbein, H. A. (2021). კულტურათაშორისი ემოციის გამოვლენა და ვოკალური გამოხატვის ჯგუფური უპირატესობა მეტანალიზი ემოციის მიმოხილვა, 13(1), 3–11. <https://doi.org/10.1177/1754073919897295>

Lavoie, J., Dickerson, K. L., Redlich, A. D., & Quas, J. A. (2019). სექსუალური ტრეფიკინგის ახალგაზრდა მსხვერპლთა ჩაკეტილობის გადალახვა ახალი კვლევის მიმართულებები, პლიციტიკა და პრაქტიკა *ფსიქოლოგია, საჯარო პოლიტიკა და კანონი*, 25(4), 225.

Lindholm, Börjesson & Cederborg, A-C. (2014). "რა მოხდა, როდესაც შვედეთში ჩამოხვედი?" პოლიციის დაკითხვებში პასუხისმგებლობის გამოყენება სავარაუდო მოზარდთა ტრეფიკინგის მსხვერპლებთან *მონათხორბის კვლევა* Volume 24. <https://doi.org/10.1075/ni.24.2.01lin>

Lindholm, J., Cederborg, A-C. & Alm, C. (2015) სექსუალურ ვაჭობაში მოზარდ გოგონათა ექსპლუატაცია: ინფორმატიულობა და ყოყმანი საგამომიებო დაკითხვებისას, *პოლიციის პრაქტიკა და კვლევა*, 16(3), 197–210. DOI: 10.1080/15614263.2014.880839

მენდუზის პრინციპები: ეფექტური დაკითხვის პრინციპები გამოძიებისა და ინფორმაციის შეგროვებისთვის (2021). <https://interviewingprinciples.com> and https://www.apt.ch/sites/default/files/publications/apt_PoEI_EN_11.pdf

Miles-Johnson, T. & Courtenay, T. (2021) აღიარება და პასუხი: "იძულებით ქორწინებასთან" დაკავშირებული რეგულირება ინგლისში, რეგულაციები და საზოგადოება, 31:10, 1248-1264, DOI: <https://doi.org/10.1080/10439463.2021.1873325>

Nelson, K. (2003). საკუთარი და სოციალური ფუნქციები: ინდივიდუალური ავტობიოგრაფიული მეხსიერება და კოლექტიური ნარატივი *მეხსიერება*, 11(2), 125–136. <https://doi.org/10.1080/741938203>

Principe, G. F., DiPuppo, J., & Gammel, J. (2013). დედების საუბრის სტილისა და არასწორი ინფორმაციის მიღების გავლენა ბავშვების მიერ მოვლენების გადმოცემაზე *კოგნიტური განვითარება*, 28(3), 260-271.

Righarts, S., Jack, F., Zajac, R., & Hayne, H. (2015). პატარა ბავშვების პასუხები ჯვარედინი დაკითხვის სტილით გამოკითხვისას: დაგვიანებული და შემდგომი გამოკითხვის ზეგავლენა *ფსიქოლოგია, კრიმინალი და სამართალი*, 21(3)

Somer, E., & Szwarcberg, S. (2001). ბავშვობაში სექსუალური ძალადობის დაგვიანებით გამოვლენის ცვლადები *ორთოფსიქიატრიის ამერიკული ჟურნალი*, 71(3), 332-341.

Toivonen, V., Korkman, J., Laajasalo, L. & Pollari, K. (2022). Oikeudellinen ikärajasääntely käyttäytymistieteellisen tiedon valossa. *Defensor Legis*, 4, s 857-875. https://www.edilex.fi/defensor_legis/1000850001

Turkel, A., & Tiapula, S. (2008). ადამიანის ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვების დაკითხვის სტრატეგია

გაერთიანებული ერები, 2000 ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების კონვენციაზე თან დართული ადამიანების,

განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის თავიდან აცილების, შეზღუდვისა და დასჯის შესახებ ოქმი. <https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/protocol-prevent-suppress-and-punish-trafficking-persons>

UNODC, 2014. გლობალური რეპორტი ადამიანების ტრეფიკინგის შესახებ 2014. <https://reliefweb.int/report/world/global-report-trafficking-persons-2014>

Vredeveltdt, A., Given-Wilson, Z. & Memon, A. (2023). კულტურა, ტრავმა და მეხსიერება საგამოძიებო დაკითხვებში *ფსიქოლოგია, კრიმინალი და კანონი*. <https://doi.org/10.1080/1068316X.2023.2209262>

Wang, Q. (2004). კულტურული თვითწარმოჩენის გამოვლენა: ავტობიოგრაფიული მეხსიერება და თვითდახასიათება ევროპელ, ამერიკელ და ჩინელ ბავშვებში *განვითარების ფსიქოლოგია*, 40(1), 3-15. <https://doi.org/10.1037/0012-1649.40.1.3>

Wang, Q., Peterson, C., Khuu, A., Reid, C. P., Maxwell, K. L., & Vincent, J. M. (2019). წარსულში ყურება ტელესკოპით ზრდასრულები, რომლებიც ადრეულ ბავშვობის მოგონებებს ათარიღებენ გვიანდელი პერიოდით *მეხსიერება*, 27(1), 19-27.

West, A. E. (2016). ბავშვთა ტრეფიკინგი კონცეფციის ანალიზი *საერთაშორისო ჟურნალი Soc Sci. Stud.*, 4, 50.

Wilson, L. (2020). ინტერპრეტაციაში დაკარგული: როლის, შეკითხვის სტრატეგიისა და როლის ფუნქცია და ემოცია თარჯიმნის მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო დაკითხვებში. სადოქტორო თეზისი

Wydall, S., & Zerk, R. (2021). მომისმინე, მისი მოქმედება არაპროგნოზირებადია და ნამდვილად შემფოთებული ვარ ჩვენი უსაფრთხოების გამო . . .: იძულებითი კონტროლის კონტექსტში ძიებაში დახმარება *კრიმინოლოგია და კრიმინალური მართლმსაჯულება*, 21(5), 614–632. <https://doi.org/10.1177/1748895819898513>

Implementing the Barnahus Quality Standards throughout Europe

A series of PROMISE projects supports Europe to adopt the Barnahus model as a standard practice for providing child victims and witnesses of violence rapid access to justice, protection, and recovery. We undertake this work to fulfil the vision of a Europe where all children enjoy their right to be protected from violence.

A Barnahus provides multidisciplinary and interagency collaboration to ensure that child victims and witnesses of violence benefit from a child-friendly, professional and effective response in a safe environment that prevents (re)traumatisation. With the formal support from national authorities, our initiatives provide opportunities to translate national commitment into action and engage internationally in the process. In addition, regular networking and strategic communications continually activate our growing network of professionals and stakeholders who are committed to introducing and expanding Barnahus services nationally.

The first phase of PROMISE projects (2015-2017) set European standards and engaged a broad network of professionals. The second phase (2017-2019) promoted national level progress towards meeting the standards and formalised the PROMISE Barnahus Network. The third phase (2020-2023) delivered University level training and case management tools, established a European Competence Centre for Barnahus, and is taking steps toward an accreditation system for Barnahus. Ongoing projects focus on specific themes, responding to the needs for data, tools, and competence building as expressed by Barnahus staff and their stakeholders around Europe.

Learn more at www.barnahus.eu



